

კაჟა ეტჳისელო

კოლხური  
ფსალმუნები

100-ტომეული




გამომცემლობა „ანკვარსანი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# ჰაჰა ეჭრისული



## კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული  
100 ტომად


2020



საქართველოს მწიგნობართა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# ჰაჰა ეჭრისული



## კოლხური ფსალმუნები

ტომი 89

2020



მთ. რედაქტორი

**ანა ქველიძე**

პოეტი, საქართველოს მწერალთა,  
მეცნიერთა და საზოგადო  
მღვწეთა საერთაშორისო  
აკადემია „ქალდეა-  
საქართველო“-ს წევრი.

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2020

---

თბილისი, 0186, ა. პოლიბოჰოვსკაინის №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-896-0 (89 ტომი)



\* \* \*

**ვაჟა ებრისელი** დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. ბანათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვერანი“, აღექანადრა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაჰვილი“, ფილორ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთტომეული – „იმჟნ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური უსალგუნავი“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ძეგლია იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მცენიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მცენიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალატიონ ტაბიძის პრემიების დაწესების, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დეკანოს მფლობელისა და „დიოკურია 2005“-ის, მწვინდობის ოქროს პარსკვლავისა და მწვინდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მცენიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავსახეთის მმცნიერებათა აკადემიის პრეზი-აკადემიკოსის, სსპარტოველოს ბანათლეშისა და სსპარტოველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „კარპიის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდიის, სობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტბვერდიანი ტომეშულების „კოლხური უსალგუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური უსალგუნების“ ოცდაათტომეშულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პრეზის ხუთასზე მეტბვერდიანი, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულბული ტომეში. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური უსალგუნები“-ს 100-ტომეშულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამზადბულია დანახეჯლად ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ათტომეშული, აბრეთვე, პრეზისაღმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პრეზების, მმცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასაღმი ავტორი) წიგნების (მონობრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეშული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს ბაიმაართა ფაზისის (კოლხეთის) საერთო-სამმცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდიენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისქრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდიენტი, ცნობილი პრეზი, ქართული პრეზიის რაინდი, ქართული კულტურის დეკანი, „კოლხური უსალგუნების“ 100-ტომეშულის ავტორი, იურიდიულ მმცნიერებათა საპატიო დოქტორი, პროფსორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „სსპარტოველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეულღე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლიღე. იგი – მმცხრე შვილია (შვილი ძმა და ორი და).





## პოეტის ასტრომული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ებრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსეთში აკაკის და ბალაქტიონს, ღმერთი არ მიუყენს რომ შებადარო. ბავხარ ზღვის დღვას და ნაზ სიონსაც, რომ ახანჯარებს წუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „უსაღმუნებოს“ ჯერ არნახული, ჯერ არ ბაბუნელი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მიტბვერდინი „ბაჯალო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარყვავი და... დღეს ძველის ბასაბუნად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაქტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არსის ჭალაში მგბარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, კელაზგმა იაზონმა მიღესთან ერთად რომ ბაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელწვივის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოღარაჟი მუხაა, რომლის ცადავვიდ ტოტეზე, პოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური უსაღმუნებოს“ იბაგმიუვლომელი ასტრომული დაკიდა და ბაანოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმომილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათტომეუტზე მიტ საუკუნოვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცრებებით დახუნდული ისტორია, რაც კომერსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითხავი.

100-ტომეული... ძველის ბაჩნის დიდან, XXI საუკუნის რიქრაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუქმნია დღემდე...“


კოსმოსში კი...

დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გგულეჟავი მისვლია... მათ იცინან იმ ოწყება დღემდევის ისტორია“.

### ბულნაზ ხარაიჭვილი

პოეტი, ბალაქტიონ ტაბიკის პრემიის ლაურეატი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი





„ბულცივად უხვვდი ყოველ ძეგას, ყოველ კაბეგას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მამბიერ

(გაგრძელება)

– თქვენ გინდათ თქვათ, შემოდგომის ფოთ-  
ლებმა მიწა გაანაყოფიერეს და ფხვიერი მიწი-  
დან ამოსული ხარ ახალი გრძნობით სავსე?

– ასეა, ასე... შენ ხომ ერთ წამში მაგრძნო-  
ბინე სიყვარული.

– აკი ამბობდი ქალისთვის არასდროს მით-  
ქვამს, მიყვარხარო... – შეახსენა ქალმა. შეხედეს  
ერთმანეთს და გაიღიმეს... პოეტმა ნაბიჯი გა-  
დადგა. უნდოდა ახლოს მისულიყო და გაეცნო,  
მაგრამ იმ ადგილას სადაც ქალი იდგა, ფო-  
თოლცვენამ კვალი დაფარა მშვენიერი ქალის  
აჩრდილის.

– ეს რა მესხნა? ცხადი მეგონა – გაიფიქრა  
პოეტმა.



– არაფერი, უბრალოდ, ღამაში სიზმარი იყო შენს ოცნებაში, – უთხრა მთვარემ და განაგრძო.

„შენ ისევ ზიხარ

მდუმარების

მოწყენილ კოშკში

და ლურჯი ჭიდან შენი თვალების –

კამკამა ფიქრის ოწინართ

ამოგაქვს

ცრემლი

და სასოებით უსხამ ნიადაგ,

სიყვარულის ხე –

მაინც ვერ ხარობს.“

სიყვარულის ხემ ასე ნაადრევად როგორ დაკარგა სითბო, სიყვარული და გრძნობა, თუ წყალს უსხამ, ფესვები რატომ ვერ ხარობს?!

დასანანია... დასანანი – მოესმა პოეტს საიდანღაც.

– ეხ, ჩაიქნია ხელი პოეტმა და ოცნებით დახუნძლულმა გზა განაგრძო წყნარი ტბისაკენ, რათა მისთვის გაენდო უცნაური მომენტი კაცური აფორიაქებისა და ხანმოკლე სიხარულისა, გასხივოსნებული თვალები და გაბადრული სახე



მოედუმა და გაყვა ნაპირს მდუმარედ, ალბათ, როგორც მამაკაცს, დარჩა რაღაც უთქმელი იმ ქალის აჩრდილისათვის?...

„ჩვენთვის ძვირფასო,

ერთად ყოფნა არის სამოთხე“...

ამის გამგონე მწვანეში ჩაფლულმა ტბამ სტუმრები მოიწვია, რათა პოეტისათვის მუხის, სიყვარულისა და სიხარულის გარემო შეექმნა. შეეცადა მისთვის შესაფერისი თბილი სიტყვა ეთქვა, სიყვარული მოგვაგონებს, ახლად ამოსულ იას, გაუშლელ ვარდის კოკორს, ჩემის კვირტებს, ოკეანეს, ზღვას, ვეებერთელა გულს ეკრანს, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ჩართულია აზროვნებასთან. სიყვარული ყველა წლოვანებაში გაუვალი ტყეა, სიმწვანითა და სილამაზით მოსილი, რომელიც თვალის შიდა წნევა კურნავს. გულ აახაგაზრდავენს, სიცოცხლსა და ღიმილს ასწავლის, მიუწვდომელს მისაწვდომად ხდის. მჯერა, ყველა სახის სიყვარული სასარგებლოა და უებარი სამკურნალო მიქსტურაა, რომელსაც სიყვარული სასარგებლოა და უებარი სამკურნალო მიქსტურაა, რომელსაც ჯერ კიდევ ჰიპოკრატეს პერიოდში ამ-



ზადებდნენ – თქვა ტბამ მოკრძალებით, ხოლო ჩვენმა პოეტის პატივსაცემად ტოტები დახარეს.

– მშვენიერია, მშვენიერი, ყოჩაღ ტბაც. არც ვიცოდი ამდენი თუ შეძლებდა... ალბათ პოეტმა ყველაფერი ღამაზ ფორმაში აღიქვა.

„შედგა იმედი მომყუდროვე  
სადამოების,

გული კი...

გული მისით ტანჯული,

გადაიწვა სიყვარულისგან?“

შემოსძახეს ვარსკვლავეთიდან.

– ტანჯულო! – გაიკვირვა ტბამ სიყვარულისგან კი არ იტანჯებიან, არამედ ხარობენ... თქმა იყო და იქვე ტოტზე ბუღბუღი ჩამოჯდა და გალობა დაიწყო.

– ტბასთან ახლოს მდგომ პოეტს ტბის საუბარმა და ბუღბუღის გალობამ დიდი სიამოვნება მოჰგვარა – იგი ოცნებამ გაიტაცა. უნებლიედ თავისთვის წაიჩურჩულა:

„გთხოვ მაპატიო თუ რაიმე

ცოდვა დაუშვი –

შენზე ფიქრებში,

შენს ღიმილში,



შენს სიყვარულში.“

ეჰ, რა არის კაცის გული... ერთი ბეწო ჰყოფნის სიხარულადაც და ტკივილადაც, მაგრამ დღეს, სიხარულის ის პატარა წვეთიც რომ გვაკლია? დაიხსავლა იქვე ტბის მახლობლად ხეზე მჯდარმა ყვავმა.

– სამწუხაროდ, ასეა, თქვა პოეტმა და თვალელებში წყალი ჩაუდგა. ნუთუ თვალელებში ჩამდგარი სითხე ცრემლი იყო? – ამოიკვნესა თვალებულითმა ყვავმა.

– ოო, შე ეშმაკის კერძო, კარგს არაფერს ეტყვი ადამიანს... ნუ ნადვლობ დიდო მგოსანო, წარსულიდანაც კარგად გვახსოვს, საწუხარიცა და სასიხარულოც:

„ტაძრებს აგებდნენ...

მტრებს ებრძოდნენ,

მიწას პარავდნენ,

ეს მღვრიე მტკვარი –

მათი ოფლია,

წარსულიდან რომ

მოედინება“, –

და მაინც რაა ქართველის წარსული?

თორ-აბჯარია, ყიჟინაა, კაჯის თოფია,



ხმალ-ხანჯალია პირგაბასრული.“

იმედინად გადმოსძახეს სამეგრელოს და სვანეთის მთებმა.

– ტაძრებს აგებდნენ, მტრებს ებრძოდნენ...

ეს ყოველივე იყო უწინ, – დღეს რა ხდება?

–

ისევ გაისმა ხმა იღუმალი.

– დღეს ნულარ მკითხავ, ერი უფსკრულის პირასაა მისული. ნეტავ ზემოდან სულ არ ვხედავდე – მოისმა ხმა სხვა პლანეტიდან. – საუბედუროდ... ასეა, თქვა პოეტმა შემდეგ ტბას მადლიერების გრძნობით დაემწვიდობა და კვლავ გაუყვა გზას მდუმარედ, რომ უცებ სალი კლდის სიტყვა მოესმის:

„გულო, არ გასტყდე, გამაგრდი,

კლდეო, კლდედ იდექ სალადა!

რა ვქნათ, რომ ჯანლი გვეხვევა,

მეცა გყვევივარ ავადა“.

– რა მოხდა, გული რატომ უნდა გატყდეს  
– შემწვოთებით შეეკითხა ოცნებაში წასული პოეტი.

– რა გიკვირს, განა არ იცი, რომ საქართველო იყიდება ერთიანად – შავი ზღვიდან –



კასპიის ზღვამდე. იყიდება ნაწილ-ნაწილად. იცოდეთ ბარემ მთლიანად, გაწეწეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს ოხრად დარჩენილი აძლევს ყორნებს და გულს უკლავს უძღურ ჭირისუფლებს! (ნიკო ლორთქიფანიძე) გულფიცხად თქვა სალმა კლდემ.

ამის გაგონებაზე პოეტმა ვაჟკაცურად თქვა:

„... და დარჩენილი ჩემი დღეები –

მზეს და სიხარულსს,

ვით იარაღს,

სამშობლოსათვის კვლავ აისხამენ“...

– მიხარია, მიხარია... ასეთი შემართებით რომ ხარ, იცოდე მტერთან ბრძოლაში არ შედრკე, გადმოსძახა სალმა კლდემ პოეტს.

„ახსოვთ გარდასულ საუკუნეებს

თავგანწირვა და შემართება“ – ქართველია.

ახლა რა გვემართება, – დაიგრიალა გრიგალმა ისე, რომ არემარე ააზანზარა, რა უკულმართად მიდის წლები ქიშპობაში, შურიანობაში, სკამისთვის ბრძოლაში ქართველებო, რამ დაგაბრმავათ, მტერი ყოველმხრივ გვიტევს ნუთუ დაგვიჟანგდა ხმალი?!



ამ ფიქრებში ჩაფლულ პოეტს ნაცნობი ხმა  
მოესმა...

„როცა ხელს ნახად გადმომისვამს თავზე  
ნიავი,

დედავ,

მე ვიცი

იმ ქვეყნიდან

შენ მეფერები.“

დედა –

„შენი არყოფნაა – აქ რომ შებინდდა,

დილით –

მზე არა

დედა!

შენი სული ამოდის!“

– ვერ ელევი დედას არა?.. რასაკვირველია,  
ასეთი შვილის გამზრდელ დედას, იქ, სამოთხე-  
ში განსაკუთრებულ სუფევა ექნება – უთხრეს  
მოკრძალებით ქათქათა დრუბლებმა.

– ჰო, თუმცა დიდი დროა გასული მას შემ-  
დეგ, მაგრამ ოცნებით დედასთან ყოფნას ვერ  
ველევი.

– კიდევ რას ვერ ელევი? – შეეკითხნენ ზე-  
ციდან.



– საქართველოს, სიყვარულს, ახალგაზდობას, მეგობრებს, – იყო ნათქვამი მტკიცედ. ეს, რა დასანანია – თქვა პოეტმა.

„სიყვარული როს, უღირსმა  
ვერ შევიფერე,  
მაშინ კი გულში  
აპრილივით –  
დარდი აყვავდა  
და გამოჟონა თმებში სიბერემ“.

– შენთან სიბერეს რა უნდა, – მოესმა ხმა პლანეტიდან, როცა ფრთები... ფრთები... უნდა ჰქონდეს ადამიანებს, თქვენი პოეზიის სიმაღლის დასაპყრობად.

რეალობიდან გამომდინარე, თუ პოეტის შემოქმედებას თვალუწვდენელ სივრცეში გადავიყვანთ, საზოგადოება საოცარ სანახაობას ნახავს... და ამ სანახაობას საქართველო და ვაჟა-ფშაველას პოეზია ჰქვია. – ჩაუქროლა ნახად სიომ პოეტს და განაგრძო:

– თქვენ, ელვა ხართ, ცაში სადაც საჭიროა იქ გაიფრთხოთ, მაგრამ წვიმის წვეთებს კი არა სიხარულის, სიყვარულის და მეგობრობის სხივებს აფრქვევთ ქართველი ერისთვის, მეგობრე-



ბისთვის. თუმცა გულის გიკორტნის ფიქრი და აზრი –

„ბრძოლით დაღლილს ნუთუ ჩაგთვლიმა  
და საქართველოს მტრებმა იდროვეს  
და წარგტაცეს აურწყავი შენი საუნჯე  
და შეგაყარეს თვალში  
ნაცარი.

როგორც ჰერეთი და არტანუჯი –  
კიდევ სხვა ბევრი  
გამოგვაცალეს“.

სავალალოა, სავალალო ტერიტორიების დაკარგვა – მდინარეებმა ამოიკვნესეს. გაბრაზებულმა ღრუბლებმა შავად გადაფარეს დაკარგული ტერიტორიები, შემდეგ პოეტს მიმართეს, გახურებული გულის გასაგრილებლად.

– დიდო მგოსანო, თქვენ აახმაურეთ სამყარო და მასში მცხოვრები ყველა არსება, ყოველი მათგანი გრიალებს, შრიალებს, ყვირის, რათა ქვეყანას ამცნოს პოეტის თავდადება –

„შენსკენ მიჰპრობილ ღია თვალებში –  
ჩამეყინება შენი ცა და შენი ბორცვები.

და –

საქართველოვ!



შენ მოგიკვდები,

გაჩენის დღიდან შენზე მლოცველი“...

– გავიგეთ, გავიგეთ ვამაყობთ და გვიხარია,  
– გადმოსძახეს სივრცეებიდან. ამის გაგონებაზე  
ღრუბლებმა მთელი ცა გაწმინდეს ყოველგვარი  
ნაყარისგან და სილამაზით განთქმული კაშკაშა  
ვარსკვლავები, პატარძლებივით გამონდნენ, რა-  
თა პოეტის ლექსთა ფეიერვერკი ვნახოთ.

„კოცონებივით ჩაიფერფლნენ

საუკუნენი,

მეფეების და გმირთა მორჩილნი,

სიცოცხლის ყანას,

უამის გარდა, სხვა ვინ მომკიდა!

და გიხარია –

არსაკიდის მკლავი მოჭრილი,

ავგაროზივით წარსულმა რომ

შენ ჩამოგკიდა“.

– გექახით დიდო მგოსანო, რა პატივისცემა  
და სიყვარული აქვთ თქვენი ერსა და ბუნებას –  
უთხრეს ღრუბლებმა.

– დიახ, მესმის და მოწიწებით თავს ვხრი  
ჩემი მშობელი ხალხის წინაშე – იყო თავმდაბა-  
ლი პახუსი პოეტისა.



– „მომიტვევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტვევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა“. მორიდებით, პირჯვარის წერით, სანთლის ანთებით მიმართავს პოეტს ზეციდან.

– რას ნიშნავს ყოველივე ეს – თქვა და პირჯვარი გადაიწერა თვითონაც.

– მიტვევებას გთხოვენ...

– ვინ? – წარბშეკვრით ჰკითხა პოეტმა.

– შურიანები, მოძალადენი, ღვარძლიანები, ჭორიკანები, მაგრამ მაინც ქართველები, მგლად ქცეულები, შველას ითხოვენ, სიცოცხლე უნდათ.

– ვერ გაიგეთ? – ბრძოლით დაღლილი და დაქანცული ვარ, ან ვინ იცის კიდევ შეიძლება წინ ყველაზე უსაასტიკესი ომი მექნეს გადასახდელი, თქვა პოეტმა მკაცრად, მათ შეიძლება არც დამინდონ, მაგრამ მე მაინც მომტვევებლი ვარ...

„ბრძოლით დაღლილი და დაქანცული –

ხელს საუკუნის მაღალ მსრებზე

ჩამოვასვენებ

და დამადგება ოქროს ჩრდილი

ქალღმერთ ნიკესი,

ვით გამარჯვების სვეტი ნათელი,



მაგრამ ჯერ კიდევ,  
მე ყველაზე უსასტიკესი  
ომი მაქვს ისევ გადასახდელი.“

– თქმა იყო და სიხარულის ელვამ გაიელვა, გრიგალმა დაიგრგვინა, ზეცამ სანთლები აანთო, ზღვა აზვირთდა, სიცოცხლემ დედამიწაზე გაინაგარდა და პოეტს მიმართა:

„... ეჰა, რამდენი წელი გავიდა,  
რომ გაქვს ცრემლებით სავსე თვალები,  
და მეჩვენება ვარსკვლავეთის ჭუჭრუტანი-  
დან –

ანგელოზები გითვალთვალებენ“...

– სწორედ ამიტომ ვარ მე ბედნიერი, თქვა მგოსანმა, რომ ანგელოზები მითვალთვალებენ“  
... იგი ღრმა ოცნებაში ჩაფლული მიჰყვა მდინარის ნაპირს ნელი ნაბიჯით, საიდან სადაო, ყორანმა რამდენიმეჯერ გადაექროლა, მერე ყოველგვარი რიდის გარეშე მხრებზე შეჯდომა მოიწადინა, მაგრამ პოეტმა ხელი ჰკრა:

– რა გინდა ჩემგან, რას დამტრიალებ თავს. მიიხედა ყორნისკენ და, აი საოცრება მან ყორნის ჩრდილში თითქოს მახინჯი ქალის გამოსახულება შეამჩნია. ღმერთო, ვინ არის ეს? –



თითქოს სადღაც მინახავს... ჰო, მგონი გამახსენდა, ჩემს ლექსებში „წლები ძერწავენ“, ან „ზღვისკარად“ – ჩაიღიმა... როგორ დაბერებულა ეს საცოდავი, დაკოჭლებულა, ყორანს დამსგავსებია.

– ძლივს მოგნახე, იცოდე არ მოგეშვები, ძველებურად მიყვარხარ...

– ო, ღმერთო ჩემო, რა დროს ეს არის, უთხრა პოეტმა და განაგრძო გზა. პოეტი გრძნობდა ის მოსდევდა ძლივსძლივობით, გაპუტული, ფრთამოტეხილი, გესლიანი შურით აღსავსე. სიტყვებს ხოშკაკალასავით აყრიდა.

– ეს, რა უნდა უთხრა, საცოდავია სულიერად და ფიზიკურად, ვის რად სჭირდება. მიდიოდა, მაგრამ უკან არ მოუხედავს, ისე ეკლესიაში შევიდა.

– ილოცე, ილოცე... ბედუკურმართ საქართველოზე. იქნებ ლოცვით უფლის ნებით მოფრინდეს ოცნებათა ფარშევანგი ფრთებდახუნლული იმედის ტკბილი ნაყოფით, ჩაესმა პოეტს. ეკლესიაში შესულმა სანთლები აანთო დაა დიდხანს ილოცა.

– „მე მირჩევნია ამ ქვეყნიურ



ავლა დიდებას,  
ჩემი სამშობლოს ღამაში ცის –  
ციცქნა ნაგლეჯი“.

ამ აზრთა ბურუსში მოსილ პოეტს მოესმა ნაცნობი ხმა, რომელიც ანთებული სანთლის წინ იდგა და ღოცულობდა: „თქვენთვის დავრგე და გაგახარე ეს მშვენიერება, რომელსაც „სიყვარულის ხე“ ვუწოდებ. მტკიცედ მწამს, მხოლოდ სიყვარულია ის ფესვი და საძირკველი, რომელზედაც ყველანაირი სიკეთე აღმოცენებულა და აშენებულა. ჩემი თხოვნაა არ გაუყვიტლოთ ფოთლები ამ მარადმწვანე არსებას.“

– შევეცდები... შევეცდები – თქვა პოეტმა და ოცნებასი გაყვა იმ გზას, სადაც „სიყვარულის ხე“ გაიზარდა.

– „მე უშენოდ ხის ტოტიდან –  
ჩამოვარდნილს ვგავარ მართვეს“.

სწორედ ამიტომაა საჭირო, უთხრა მან სიყვარლის ხეს

„ჩვეენ ერთმანეთზე უნდა ვიფიქროთ –  
ყოველი წუთი,  
ყოველი წამი“.



და აი, ამ ოცნებით დაყურსული პოეტი, არ-  
წივივით ფრთაშესხმული გასცქერის ვარსკვლა-  
ვებით გაბრწყინებულ სივრცეს და ესმის ციდან:  
„ანგელოზების ფრთის რხევა და ფეხის  
ხმა...

ღმერთის“.

– ყოველივე ამან, ხელი შეუწყო დიდო მგო-  
სანო, შენს სიხარულს, სიყვარულს, ოჯახურ  
სიბოლს – გადმოსძახა ელვამ.

– უსათუოდ ასეა – თქვა მგოსანმა და ღი-  
მილით დასძინა:

– „მე ვარსკვლავების ოქროს ჯაჭვებით –  
საქართველოს ცას  
ვარ მიჯაჭვული“.

ჩინებული, ოჯახი სიყვარული და თბილი  
სიტყვა წამალზე უფრო კარგად მოქმედებს, მაგ-  
რამ ხშირად ცხოვრებაში –

„მოთმინების ცივ ურემზე

შებმულს,

უბედობა,

წუხილი და ოხვრა,

ლომურ ქედზე უღელივით მედგა.

გვიან, როგორც დაკარგულმა ძროხამ,



ჩემს ჭიშკარზე მოაბდავლა ბედმა.“

მგოსანმა, გავლილ იმ დიდ გზას თვალი  
გდაავლო და რაღაც უკმაყოფილების გრძნობა  
დაეუფლა.

– რა იყო, რატომ ხარ უკმაყოფილო? – ჩაე-  
კითხა ხმა იღუმალი. განა ბევრმა შექმნა, ასეთი  
უზარმაზარი პოეზია XXI სუკუნეში? რას თხოვ  
მეტს შენს თავს? – ისევ ჩაესმა პოეტს.

– მეტის გაკეთებაც შეიძლებოდა, – ჩვეუ-  
ლი სიდინჯით თქვა პოეტმა

„სიყვარულით და თაყვანისცემით,  
დღითი-დღე უფრო ფრთას შლი.“

– რა გაქვს სადარდო, გაშალე ფრთები –  
გადმოსძახეს ფრინველებმა:

„გსურდა, არასდროს გენახა –  
შენი სამშობლო სნეული!!!“

ქართული სიტყვის ეტნა ხარ –  
კოლხეთში ამოფრქვეული“.

### **ტატა დიოსკურელი**

*ნაწყვეტი წიგნიდან – აღქმა ანუ  
საოცრებათა სამყაროში*

*გაგრძელება შემდეგ ტომში*



### შიში

დადგა მესამე ათასწლეული,  
წლები მიდიან  
წალიკ-წალიკად...  
არ ვაზვიადებ და  
არ ვამუქებ!  
რა დღეს და რა ხვალ,  
(დმერთმა ნუქნას!) და...  
უამთა ქარბუქი,  
ამ ცოდვით სავსე დედამიწას  
სულმთლად წაღეკავს.

2001

## მზის დაბადება

ცის უხილავი მნათთა ხელები,  
ჰორიზონტს იქით  
ნათელს ავლებენ  
და კვლავ უმატებს მოვარე  
ირაოს,  
რადგან ყივილის ხმაზე  
მამლების.  
დიდამ მზე უნდა იმშობიაროს.

1955



## სიკვდილი, გარდაცვალება

ვარსკვლავებიდან ოქროდ ნაჭედი,  
თავზე გახურავს მუზარადად  
ზეცა ქვიტკირის  
და მიტომ ვუძღვეთ ამდენ მტრობას,  
წვას და წვალებას...  
სულ სხვა რაღაცას  
ნიშნავს სიკვდილი,  
და კიდევ სულ სხვას  
გარდაცვალება.

2020



**რწმენა**

არსაიდან მოსული,  
უამთა მღვრიე მორვეი,  
უფლის რისხვად –  
უფლის ცას.  
რწმენა ახელს ორივეს –  
ცის თვალსა და  
გულის თვალს.

1969



## ეფუთი

„უძველეს კოლხებს დამწერლობა უნდა ჰქონოდა“.  
ჰეროდოტე

ათასობით წლის მერეც,  
მითებით და  
ლეგენდით,  
დრომ ათასფრად შეფუთა –  
კოლხთა წიგნი „ეფუთი“\*  
და გულზე დაიბნია,  
მერე თარგმნა  
ისუ ნავემ  
და უწოდა „ბიბლია“.

1969

---

\* „ეფუთი“ – ბიბლიამდელი კოლხთა უძველესი ყოვლის-  
მომცველი წიგნი, რომელშიც ქვეყნის დასასრულიც ყო-  
ფილა თურმე ნაწინასწარმეტყველები.

**კოლხა, კულხა, ათენი**

დავიწყების ცის ქვაბში

ახლა ერთად არიან,

უშქარ ღამენათევი

და წარსულში მოვლემარე:

ხეთიცა და

მიდიაც,

კოლხა,

კულხა,

ათენი,

აია, ქუთაია.

1960



**მოფრენილი, მომავლიდან**

ამირანის ცეცხლით არა,  
გაჩენილი მზის ალიდან,  
„მფრინავ თევზით“  
თუ „იახტით“,  
მოფრენილი მომავლიდან –  
მე,  
კოლხეთის დიდწარსულში  
შევწიადდი.

1961



## თუთარჩელა

ვარსკვლავების წითელ ღერდილს,  
მთვარე ცრის და  
ჩანს საცერად.  
ღამე ელვის ცელს მოიქნევს –  
ოდრიკალად,  
აღმაცერად,  
და ცის ველზე მობიბინე –  
სიმყუდროვის და ღრუბლების  
ბალახს უცებ გადაცელავს.

1966



## მთვარის ნიშა

უფლის გარდა არეინ იცის,  
რომ პოეტი მზის ტოლია!  
შორით რომ ჩანს  
მთვარის ნიშა,  
ეგრისელო, იმას ნიშნავს,  
რომ ცა ელვით  
ჩაინიშნავს,  
შენს პოეტურ ისტორიას.

2020



პარას ჭალა\*

ნაპირებზე ხობისწყლის,  
სად ათასფრად ჰყვაოდა  
ცა –  
ფერის და გემოსი,  
პარას ჭალა იყო ჩემთვის  
ჭალა –  
აკადემოსის.

1964

---

\* პლატონმა სკოლა, შემდგომ აკადემია დააფუძნა ქალაქის გალანის გარეთ, მდინარე კეფისის ხეობაში, აკადემოსის ჭალაში, სადაც ატიკელი გმირი აკადემოსი იყო დაკრძალული (აქედანა სიტყვა – აკადემიკოსი, აკადემია) (ვ. ე.).



## მეგრული და აქადური

ნახეთ! –

ერთურთს როგორ ჰქვანან, –

იქ – „ინანა“,

აქ – „ნადური“.

და „აღნაგი“ თვით სიტყვათა;

მეგრულის და

აქადურის:

„მოათუქა უდო შანა, ქი იათიმა ათთა,

უ, ათთა ული შანათ, ქი იათიმა ათთა“.\*

(აქადური)


1965

---

\* „არ მეუცხოება აღნაგი შენი,

მსგავსი ხარ ჩემი.

და შენც აღარ მეუცხოები, მსგავსი ხარ ჩემი“. გილგამე-  
შინი.



**ქარი**

მგლის მუხლა და მგლის თვალემა,  
წარსულიდან  
გადმოსული,  
დიდ ტაძართან დგას, იშხანის  
და იქვე წევს მთა  
ორსული,  
მტრისთვის მშობი ქარიშხალის.

1963



## სოკრატე და ისოკრატე

ბევრნი იყვნენ...

მაგრამ მაინც,

მხატვრებმა და პოეტებმა

მარტო ხატეს –

ორად ორი,

სოკრატე და ისოკრატე –

ბრძენზე ბრძენი

ორატორი.

1970



**ენგური, არაბვი**

მთების მკლავებში გამომწვევდელი,  
სამეგრელოში ბორგავს  
ენგური,  
ანანურთან კი შფოთავს  
არაგვი  
და ორივე კრულვას უთვლის  
დედაბუნების –  
უმეცრებას  
და სივერაგეს.

2010



## ღარჩელი

ასი ათასი წლის მერე,  
რადგან ედემში მოხვედი,  
ნახე! –  
ბუნება დარჩელის!  
პირველი იშვა კოლხეთი,  
შემდეგ კი...  
სხვა დანარჩენი.

1959



## ზღვის მელოდია

ვღაგარ პონტოს პირას და  
ვუსმენ ზღვის მელოდიას:  
– სიცოცხლიდან –  
სიკვდილი,  
სიკვდილიდან –  
სიცოცხლე,  
ერთურთისგან მოდიან...

1978



**ღრუბლები – ანდროგინოსები**

ჯერ მნათები დაანთეს,  
მერე წვიმა ილოცეს,  
ახლა მზისა და მთვარის  
სახით ცაში ღრუბლები,  
როგორ ჰგვანან მითიურ  
ოთხელადა და ოთხფეხა –  
თავხედ ანდროგინოსებს\*

1966

---

\* ანდროგინოსები – მამაკაცური და ქალური საწყისის მატარებელი უძლიერესი არსებები, რომლებმაც განიძრახეს ცაში აღწევა და ღმერთებზე თავდასხმა“. არისტოტელე.



## სული, სხეული

სხეულია მოკვდავი...

სულ მარადიული –

თანმდევია უკვდავი

ასი ათასწლეულის...

და ნიადაგ იურვის,

რომ დატოვოს ათასი

ცოდვით საესე

სხეული.

1979



## პირველი

ვადარებ გმირთა-გმირ  
ჰერკულესს,  
ლექსის თქმა პირველმა  
ვინც გაბედა!  
სამყაროს უეცრად მოედო,  
ცეცხლის ნაპერწკლები  
კვეს-აბედად.  
კარგი იქნებოდა პოეტო! –  
რუსთველზე რომ დაგესწრო  
დაბადება!

2020



## ლარჯემი

მოჰგავს ხელის ფალანგებს...  
და სამყარო სიმღერით  
მოუვლია... და აწივს,  
სიმღერებით მოიარს –  
ძველი ჰანგი იბერის,  
რომელიც სულ თანდევდა  
ლარჯემს –  
იგივე სოინარს\*.

1957

---

\* ქართული ხალხური ჩასაბერი საკრავი.



**პოსეიდონის ბრძანებით**

უამთასვლას აღარ დანებდი  
და შენ კოლხეთში  
მოსვლამდე,  
რადგან წყლის გქონდა შიში,  
პოსეიდონის\*  
ბრძანებით,  
შავ ზღავსთან ერთად იშვი.

1958

---

\* პოსეიდონი (ბერძ.) – ზღვის ღმერთი.



**ცამცუმი,  
ამირანი,  
ბადრი,  
სეფედავლე**

ლეგენდიდან და მითიდან  
ღრიალი რომ ისმის  
დეკთა  
და მათ მოღვმას მუსრს რომ ავლებს:  
ცამცუმი,  
ამირანი,  
ბადრია და  
სეფედავლე.

1960



## ხელოვნება

არსი ყოვლი ხელოვნებას,  
თაყვანს სცემდეს,  
ვით მესიას,  
ხმობდა მიქელანჯელო!  
მან უწყოდა მხატვრობა  
და პოეზია,  
არის ტკბობა,  
მასთან ერთად  
სასჯელი!

1968



800

„დაგვიანება განა ამდენი?!“  
გალაქტიონი

ჰომეროსიდან –

მეთორმეტემდე,

დღე გასულიყო უნდა უთვლელი  
და დამდგარიყო „ღამე მზიანი“.


დაველოდებოდი მოსვლას

რუსთაველის,

მის, დაბადებას

მე, 800 წლით დავაგვიანე.

1969



## ბედის ვარსკვლავი

ეჰა,

როდის...

ჯერ კიდევ,

ზადენი და არმაზი,

რწმენას ცეცხლით მოსავდნენ...

ჩემი ბედის ვარსკვლავი

ენტო ცის კამარაზე,

ქვეყნად აქ,

ჩემს მოსვლამდე.

1982



## ამირანო

ბნელი ღამე ვერ გავაპე!

შველა ვთხოვე ამირანს და...

ვეძუდარე

და

ვეაჯე!

ის წარსულში...

მე კი ახლაც,

ვებრძვი ავსულ გველეშაპებს,

ბაყბაყ ღვევებსა

და ქაჯებს.

1960



\* \* \*

წარსულის მშუქარ წყვლიადში,  
უშქარი დამენათევი,  
მოველ ღვთის „კიბით“  
მავალი.

და მეც „ეიხილე ნათელი,  
მამისგან გამომავალი“.  
(ლუკა 17,24.)


1969



## ორი ეჭუთი

უამთა მძეინვარ ქარიშხალს,  
ბელად გადარჩენილი,  
ორადორი „ეჭუთი“ –  
(დიდ კოლხებს რომ ეკუთვნის.)  
ერთი მეფე ამ მარეს,  
მეორე კი ათონში –  
წმინდა სვიმონ კანანელს  
ჩაატანეს სამარეს.

1969



## მოსანო

სამყაროს დასაბამიდან,  
სად ცა და მიწა  
ერთდება,  
იქ ჰქონდა ბინა მოსანს;  
და მიტომ თვლიდნენ  
ღმერთები  
უმაღლეს დემიურგოსად.

1969



## ციკუტა\*

„ათონელებმა სიკვდილისთვის გაიმეტეს სოკრატე“.  
პლატონი

რაა მოდგმა ადამის?!

რომელსაც სურს ყოველი  
ერთად დაისაკუთროს!!!

(და მისთვის სულერთია დღე ბნელი და  
მზიანი.)

მიტომ ასმევს საწუთრო

„ციკუტას“ და

„ციანიდს“.

1969

---

\* „ციკუტა“ – ყველაზე მწარე შხამი, რომლითაც ათენელებმა სიცოცხლეს გამოსაღმეს სოკრატე. (ვ. ე.)



## ნადიმი

ათასეულ წლის მერეც,

მავანმა და

მავანმა,

ჰპოვა სულის სავანე.

ცრემლიანი თვალებით

ბრძენთა ბრძენი პლატონის

„ნადიმს“ ისევ უსხედან –

სიყვარულით მთვრალეები.

1971



## მწოლიარე ლექსები

ზე-სამყარო მოიარეს,  
თვალები მზით ევსებათ.  
მუხლისთავზე დაწერილმა,  
შენმა,  
ციცქნა,  
მწოლიარე\*;  
ღვთისმოსავმა ლექსებმა.

1993

---

\* „მწოლიარე ლექსები“ – პირობითად ასე უწოდა საღ-სალამათმა პოეტმა თავის „კოლხური ფსალმუნების“ 100-ტომეულში მოთავსებულ 30 000-ზე მეტ ლექსს, რომლებიც ინახად – მწოლიარედაა შექმნილი.



## ცხოვრება

სანთელ-საკმეველმა და  
არ უშველა ლოცვებმა,  
რადგან კაცის ცხოვრება,  
თურმე –  
როგორ მიაგავს,  
ზღვის მიქცევა-  
მოქცევას.

2019



## მგოსანი

სიყვარულით მგოსავი,  
აღბათ ღმერთიც  
ინებებს,  
რომ ამქვეყნად მგოსანი,  
ეჭრფის მარადიულს და,  
მარად  
წარუდინებელს.

2020



**უხილავი,  
ხილული**

თავს დაატყდი სამყაროს,  
ელვა –  
ჭექა –  
ქუხილად!  
ცად ანთებ მზის ჩირაღდანს  
და დაექებ უხილავს –  
მნათთა თვალის  
მილულვის.  
ადარ გიღირს ჩირადაც  
ჩრდილში ყოფნა ხილულის.

2020



**სული,  
სხეული**

სხეული მოკვდავია...

სული მარადიული,  
თანმდევია უკვდავი  
ასი ათასწლეულის

და ნიადაგ იურვის,  
რომ დატოვოს ათასი  
ცოდვით სავსე  
სხეული.

2020



## სოკრატე და პლატონი

მინაწერი წიგნზე „პლატონი“

ადარ ახსოვს სამყაროს  
არც მსგავსი და  
არც ტოლი,  
ვიდრე ის „მეგობრობა“,  
ორი ცით მოვლენილის,  
სოკრატეს და  
პლატონის.

2019



\* \* \*

ზღვად მოვარდა ქარიშხალი,  
მოჰყვა წვიმა ჩურჩულით,  
მერე მესმა ელვის სილა  
ცას გააწნა,  
ისე, როგორც მხარგრძელმა,  
თამარ მეფის ავისმსურველ  
ურჯულოს!

1967



## მიწა, ცა და ეროსი

მზე ჩადის...

ედება ცას ფერი  
იოდის,

სივრცეებს უდგებათ, დრო  
მნათთა შემოსვლის...

და თუ დავუჯერებთ ჰესიოდეს –  
თურმე „ერთად შობილა,  
მიწა,  
ცა და ეროსი“.

1969

---

\* ეროსი (ბერძ.) – სივარულის ღმერთი.



## სამყარო

სადაც აკვანი შენი დაირწა –  
    ცად ვარსკვლავები  
        მინდა აყარო!  
ცისარტყელაა შენი სარტყელი,  
    კვლავ ეზიდები –  
        ცად დედამიწას!  
და გიხარია მთელი სამყარო  
ხელისგულზე რომ გაზის ბარტყივით.

1993



## დიდი ხუთშაბათობა

დიდ ხუთშაბათობას სამჭედლოდან  
ისმის საბურველის ქშენა:  
მჭედლები,  
ამირანის,  
ყურშას ლოკვით გალეულ  
ჯაჭვას „ასქელებენ“...

მისკენ უჭირავთ თვალი:  
– ვაი, თუ გაწყვიტა!!!

– მაშინ,  
ვაჰ, ჩვენი ბრალი!  
ერთს აღარ დაგვტოვებს ცოცხალს,  
სუყველას გაგვწყვიტავს!

1961



## შუმერული ლირა-ქნარი

საცალფეხო ბილიკებით

წარსულიდან მოჰქრის ქარი

და მოქვს სხვა ხალისით,

ხუთიათასწლეულის

იქიდან ხმა შუმერთა

„ოქროს ხარისთავიანი“

ლირა –

ქნარის.



**ლეგენდა თუ სინამდვილე**

(ვარიანტი)

მინაწერი „კოლხური ფსალმუნების“  
100-ტომეულზე.

დრო მოვა და ვით ცხერის ფარა,  
ქარს გაჰყვება –  
ეგ ნისლები...

(რაც მე ყოფნას მიადვილებს.)  
ათასი წლის მერე ვილაც,  
ჩუმად იტყვის:  
ნუთუ მართლა,  
ლეგენდა თუ სინამდვილე,  
იყო ვაჟა ეგრისელი.

2020



**ცა, მიწა**

ღამე ჩუმად ეტრვის მთვარეს,  
მიტომ ახატია გულზე,  
და ზეცასაც  
უყვარს მიწა  
ამიტომაც ღამღამობით  
მილიარდი –  
თვალით უმზერს.

1973



## ამბრი

„ამბრისა მზემან, ამირან,  
შენ ამბრსა ვერ ეღარები,  
ცოცხალსა სთხოვდი მუქარას,  
მკვდარსაც ვერ დაედარები!..“  
ხალხური

მოკაშკაშე შვიდი მნათი,  
მათთან მერვე მნათი ისნის,  
შენს ბედ-იღბალს  
ცად არჩევენ!..

შენ ამბრი ხარ...  
დანარჩენი,  
„ამირან და ძმანი მისნი“...

1993

## კაკაჩია ღამე

„ვარდითა და ნეხვთა ვინაღან  
მზე სწორად მოეფინების.“

რუსთაველი

ხდება ასეც: ზოგ-ზოგი კი,  
არც ქალია,  
არც კაცი!!!

ბოლოს უნაყოფოდ ხმება,  
ისე, როგორც აკაცია,  
თუმც იმასაც მთვარიანი  
ღამე დაცქერს კაკაჩია\*

1964

---

\* კაკაჩია (მეგრ.) – განათებული, მოკაშკაშე ღამე. საბა.



**ხილვა: კოლხეთი და ბიზანტია**

(ძვ. წ. მეორე ათასწლეული)

დანასისხლად ერთურთს მტრობენ –  
კოლხეთი და  
ბიზანტია.

და მდინარე თერმოდონთან,  
კოლხნი ბრძოლად იბარებენ –  
თვისტომებს და  
ნათესავებს:

ქლადეველებს და მაკრონებს,  
მაკრისებს და  
ტიბარენებს.

1960



**მივალ ქალაქ გულანშაროს**

მოყვარისთვის თავდადება,  
არც ძნელია,  
არც ადვილი,  
რადგან ქარი კვლავ აშარობს...  
მაინც,  
ვითა ავთანდილი,  
მივალ სიყვარულით მოვრალი,  
ზღვათა ქალაქ –  
გულანშაროს.

1966



## მგოსნები

ქვეყნად დიდი მგოსნები

მოდიან...

არ მიდიან!

მათი ბედი ცად წყდება

და ცაშივე მნათებად,

მერე –

მარად ჰკიდია!

2020



## მთები

დედამიწის გულ-მკერდზე,  
ასე სულ უდარდელად,  
მთები წამოწოლილი,  
მხარ-თეძოზე ინახად,  
არვინ უწყის  
თუ რამდენ,  
სამყაროსთვის ჯერ უცნობ,  
ჭირ-ვარამს და  
ლეგენდებს,  
გულში ჩუმად ინახავს!..

1969



## ბერბერებს და ბუანჩებს

ატლანტიდის ფსკერიდან

წინაპრის ხმა იელვებს:

– გაჭირვებულ სამყაროს –  
გამრავლებას ნუ აჩვევთ!

თორემ ის დღე მოგვლით,

რაც ძველ ფინიკიელებს<sup>1</sup>,

ბერბერებს და

გუანჩებს<sup>2</sup>.

1979

1 – ფინიკიელები – (III, IV, V ათასწლეული)  
აღფავიტისა და პირველი ამბანის შემქმნელი ხალხი  
კოლხური ტომიდან.

2 – ბერბერები და გუანჩები – ატლანტის  
კატასტროფას გადარჩენილი კოლხთა მონათესავე  
ტომები.



\*\*\*

მოსვლის დღიდან თვალმიპყრობილს,  
ცად მნათობებს შორზე –  
შორთა,  
შვიდ სამყაროს შვიდგზის უვლი.  
შენ გეკუთვნის,  
ვითა შოთას,  
„შვიდთ იველიმთა ხელმწიფეთა  
ხოცბა სრული.“ (არჩილი).

2014



\*\*\*

საიდანღაც მოვარდნილი

ხმა –

სივრცეებს დელვით

ავსებს

და მესმის მზის მაჯისცემა.

ქარი,

ტალღით მივამსგავსე,

ზღვის მინდორზე –

ყვანჯის ცემას\*.

2004

\* ყვანჯის ცემა – ცხენდაცხენ ბურთაობა, ცხენბურთი.



\*\*\*

რა ვუყოთ, თუ ზოგ-ზოგებს  
არც გული აქვთ,  
არც სული,  
ქება არ ემეტებათ აიეტის ასულის.  
შენ ხარ ერთი მესობე –  
კოლხეთის დიდ წარსულის.

1972



## აინები და კხმერები

ათასეულ წლის შემდეგ  
ვუძღვნი ჰიმნს და  
სიმღერებს,  
„იაპონელ „აი“-ნებს<sup>1</sup>  
და კამბოჯელ  
კხმერებს<sup>2</sup>.

1994

1 – „აი“-ნების ენა ბასკურს მიაგავს.

2 – კხმერები – ალბათ კოლხთა მონათესაეები არიან.



\*\*\*

მიდის უამთა მდინარე  
და დღე ისმენს მზის ტირილს,  
ცამ რომ ხელი არ ახლოს.

აქეთ –  
სიცოცხლე სახლობს,  
და გაღმა კი – სიკვდილი.

2009



\*\*\*

საუკუნენი ჩაივლიან გრგვინვით  
თერგისებრ,  
და ვით ბიბლიას, კვლავ სასოებით,  
ვიდაც ღვთის მონა წაიკითხავს  
„კოლხურ ფსალმუნებს“  
და ჩუმად იტყვის:  
ეს ეკუთვნის ვაჟა ეგრისელს,  
მაგრამ ამქვეყნად ეგრისელი იყო  
ნამდვილად,  
თუ ყოველივე მითია და  
არის ლეგენდა?!

2015



\*\*\*

როკვად აღარსად ჩანდა კარავი,  
ელოდი წარღვნას და  
წყალდიდობას,  
მაცხოვარივით ხელთ ჯვარი გეპყრა.  
„კოლხურ ფსალმუნებს“,  
ვით „სჯულის კიდობანს“,  
შენ თეთრ ღამეებს სწირავდი მსხვერპლად.

2005



\*\*\*

მრავალშვილთა მომლოდინე,  
უფლის მონა და  
მომიში,  
უნდა კითხულობდე ხშირად, –  
სიბრძნეს დიდი დავითისას,  
ნიზიანელსა და  
ზირაქს.

1979



\*\*\*

დღეს

ყოველივეს სწავას შურის და  
მტრობის აღმური  
და ქარიშხლები ქრის აუგების,  
მაგრამ დრო მოვა –  
„კოლხურ ფსალმუნებს“  
ვით „დედა-ენას“,  
შავი ზღვისკარად,  
როცა ცათამბრჯენ ძეგლს აუგებენ.

2014



## ქართუ

წინაპართა ხსოვნის ხმა,  
აღბათ შორით უხმობდა  
პოეტ პაოლო იაშვილს,  
როცა „ქარდუს“ ეძებდა –  
ხუთი ათასწლეულის  
იქით –  
ქარდუნიაში<sup>2</sup>.

1972

- 
- 1 – ქარდუ, ქართუ, ქორთუ – უძველესი კოლხი (ქართველი)  
2 – პრეისტორიული კოლხთა (ქართველთა) სახელმწიფო  
(დაახ. IV ათასწლეული)



## სერდაქს და რუქას

თუ სადმე იყო არაკის და  
სიბრძნის მარცვალი,  
სხვაზე ნაკლებად არც შენს წისკვილს  
უფქავს,  
მაგრამ რად გინდა, ამის შესახებ  
არ-რა სმენია დიდ ხელმწიფეს  
რეგვენს და გულქვას.  
რადგან არ ცნობდა იგი, თურმე,  
იგავმთხზველ  
სულხანს,  
არც მის ბრძენ ვაზირთ –  
სერდაქს და რუქას.

2005



**ქარიშხალი ზღვაზე**

ვარსკვლავებით ივსება

ზღვა და ცაოთა

მინდორი,

ტალღა ტალღას მისდევს და

ემატება ზარს – ზარი...

საიდანღაც მოისმის ყივილის ხმა

ფრიდონის,

ელვის წამზე გაკრთება

ველი მუღლაზანზარის.

1981



## ასტროიდები

მომავალი დღეები ყიჟინით,  
წამით რომ აღარ  
მშვიდდებიან,  
შენი კრწანისი და დიდგორია,  
„კოლხური ფსალმუნები“ –  
ასტროიდებია,  
ათასწლეულთა ცაში რომ იგორებენ.

2015



## ექურის და ეანნას

ჩამომდგართ შუამდინარეთს,  
ფერი ედოთ მთებს ღილის,  
აღარ სურდათ მზე განა?! –  
ლოცვად დამდგარ ენლილის<sup>1</sup>,  
ექურის<sup>2</sup> და  
ეანნას<sup>3</sup>.

1976

---

1 – ენლილი – დვთაება

2 – ექური – ტაძარი ნინფურში (შუამდინარეთი)

3 – ეანნა – ქალაქ-სახელმწიფო ურუქის ტაძარი



## დელაკრუა

ვითომცდა არ ხედავენ და

აღარ ესმით!!!

განა მართლა ყველა ბრმა და

ყველა ყრუა.

მათ კარგად იციან, თუ ვინ არის

დღეს მსოფლიო პოეზიის

დელაკრუა.

2009



## სომას და ჰამოას

უკვდავება სიცილად

არ გყოფნიდა და მიტომ

ბედმა მასთან გაომა.

მაინც სვამდი ჩუმ-ჩუმად

სომასა<sup>1</sup> და ჰამოას<sup>2</sup>.

2000

---

1,2 – უკვდავების სასმელი



\*\*\*

გრიგალი ზღვას აღვიძებდა,  
ეცვლებოდა ცას გუნება.  
ღღეს კი ღამე აბოდებდა.  
შენს ფიქრთა ხეს „ფსალმუნები“ –  
სულ ცვიოდა –  
ნაფოტებად.

1998



## ანდები

აქ ცხოვრობდნენ ოდიდან

და კოლხეთს ხელს ადებდნენ

მთები...

მაგრამ წავეიდნენ –

მიწა აღარ იკმარეს!!!

მაინც არტე<sup>1</sup> ზღვისკარად

დაექებს მისხს ანდების<sup>2</sup>.

1984

---

1 – არტე – მთვარეს ერქვა კოლხურად (ა. ლამბერტი)

2 – ანდები – პრეისტორიული კოლხური (ქართული) მოღვმის ტომი ანატოლიაში



\*\*\*

შური კლავთ და...

ზოგ-ზოგები

თავს ხელახლა ვერ იშობენ!

შენი ღვაწლი ვეღარ თვალეს...

სმენას მიტომ იხშობენ და...

იბრმავენ –

ძალად თვალებს!

2010



\*\*\*

მღვრიე ათასწლეულების  
დეღვა შენში გაიხიდა –  
აქადური,  
არგოსული...  
არყოფნიდან...  
და იქიდან  
ჩუმადა ხარ გადმოსული.

1964



\*\*\*

მიჰყვები უვალ ბილიკებს...  
მაღლა მთებსა და  
დაბლა ხევს,  
გეყო ამდენი ხეტება!  
უნდა ჩახვიდე ჩაბალხეთს,  
საომრად ჩაბალ-  
ხეთებთან.

1961



\*\*\*

ბორცვი იყო და  
    უცებ გამწვევრვალდა...  
მსხერპლშესაწირავი –  
    საკლავიც დაიკლა!  
ჟამი აწ ბუხსაც ვერ აუფრენს:  
"იქმენ ნათელის!"  
    ხატწერას და  
    "კოლხური ფსალმუნების"  
    მოზაიკას.

1999

1, 2 – პოეტის ათასგვერდიანი ტომეულები.



**ქარი**

საიდანღაც მოვარდნილი,  
ჯიქურ ადებს ღამის კარებს.  
მარბიელი და  
მშიერი.  
სოფელ-სოფელ დაძრწის ქარი,  
კოხშინშხალის ნაშიერი.

1961



\*\*\*

შენი ლექსის სტრიქონები  
სურნელობს და  
არომატობს  
(სხვისას ისევ ამასხრებენ...)  
და მე ვამბობ არა მარტო,  
გაჰყვიან ამას სხვები.

1963



**მამული, ენა და... გზა პროეტის**

დავიწყებაში ბედად მირჩენილ  
წინაპრის სულში ხელს  
აფათურებ...

და დღემდი მოხველ –  
"ანით",  
"პოეთი".

აი, ესაა – ენა ქართული:  
მამული,  
რწმენა და...  
გზა პროეტის.

1963



**მუმიას**

ხუთი თუ ათი ათასწლეულის

მერეც,

საფლავში წევს არხეინად,

თითქოს სიკვდილი საამურია.

ერთურთს მიჯრილი თეთრი,

ცარცივით,

დაკრეჭილი აქვს კბილი მუმიას,

თითქოს საკუთარ –

სიკვდილს დასცინის.

1969



\*\*\*

ძოკოს დამბასთან,  
ხელში ანკესით,  
აღბათ ახსოვდათ ჩემი ბავშვობა,  
თვალი რომ მოკრეს –  
ძველ ნაიარევს,  
ჩემი ხობისწეკის ცელქმა  
ტალღებმა,  
ჩაიღმიღეს და  
ჩაიარეს...

1961



**კოლხური ფსალმუნების  
100-ტომეული**

გაადებს დილა

ცის ღამაზ სარკმელს,  
ნათელს ილოცებს...

და დაანთებს მზის –

სანთელ-საკმელს.

დღე თვალს გაახელს

და გაიოცებს.

1966



\*\*\*

წამით უფროსია არყოფნა  
ყოფნაზე,  
და ხელში დიადი პოეტის  
(ისე, ვით მწუხრისას,  
მზის სული)  
გზად კვდება სიკვდილი,  
სიცოცხლემდე ვერ მისული.

1984



## ნუში თებერვალში

მანქანების სირენა ნერვებს უშლის,

ცივა და...

სახე აქვს მკრთალი.

ქუჩის განაპირას დამდგარა ნუში

მოყვავილე...

მოკლე კაბით,

ვითა მსუბუქი ყოფაქცევის ქალი.

1960



**ეჭა, ძეო ადამის**

დედამიწას თვალები ჩუმად  
ცისკენ უჭირავს,  
რადგან შვილებს არყოფნით  
მიწა –

ფეხდასადგამი.

უამი დავიწყებაში არსთ მიცოცხავს  
მზის ცოცხით.

ეჭა, ძეო ადამის,

შეეჩვიე სიკვდილსაც,  
ისე, როგორც სიცოცხლეს!

2010



**ქალაქი და სოფელი**

მზის და მთვარის თვალება

ცა –

ორთავეს დარაჯობს,

მიწის უარმყოფელი.

თავკომბალა –

ქალაქს ჯობს,

ტანწერწეტა – სოფელი.

1968



## მთა და ბარი

მთა და ბარი კი ერთია,  
და ვით ანტეოსს ერთი  
უღვათ ავდარიც და  
დარიც.  
წელს ზემოთ მიწას მთა ჰქვია,  
ხოლო წელს ქვემოთ –  
ბარი.

1964



\*\*\*

ცის უსამანო ოკეანეში  
უნდა აუშვან მთვარის აფრები  
დიდმა ეგრებმა და  
ცურტავებმა.  
რა ვუყოთ მერე,  
პოეტს საფრენად  
სამყარო თუკი ეცოტავება.

1982



\*\*\*

ერთი არა,  
ორი ათასწლეულია,  
რომ მიდიხარ დიდებად  
და ვაშად!  
და კითხულობ: ვირგილიუსს,  
ოვიდიუსს,  
ჰორაციუსს,  
ისე, როგორც გალაკტიონს,  
აკაკის და  
ვაჟას!

1984



\*\*\*

რაა

კაცის ცხოვრება,  
ჰგავს ცის ოკეანეში  
ზღვის მოქცევა-  
მიქცევას.

რაა დღე-დღევანდელი,  
ხვალ წარსულად იქცევა.

2011



\*\*\*

აეისმქმნელს,  
ხოტბა-დიდებით  
მეშვიდე ცამდე აყვანილს,  
ნულარ მიუშვებ ნებასა.  
ვით ხმობდნენ –  
მამა-პაპანი,  
– დაკვრა ჯობს დაღირებასა!

1969



## ტბასთან გენესარეთის

მესთა-ტეხას მოელის  
სადღაც ცისკრის კარედი  
და ამინდიც ცხარდება!  
შენ კი დგახარ პონტოსთან,  
ისე, როგორც იესო –  
ტბასთან გენესარეთის  
და მოელი –  
უფლის გამოცხადებას.

1972



## ბარისასო, შატილი

ვინც შორიდან მზერას ტყორცნის,  
ბროლის ტახტზე წამოწოლილთ,  
კავკასიის მოებს ინახად

და...

მერე კი ბარისასოს  
და შატილსაც დაინახავს –  
ჯვარი უნდა გადისასოს.

1966



## ვაშინერს

„წმინდაო ღმერთო რად გამაჩინე,  
მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია“.  
გრანელი

უფლისგან ჯვარდაწერილი,  
ცისქვეშ შენ ხარ და  
შენი კოლხეთი  
და „გაჩენაზე“ ფიქრიც „ვაშინერს“<sup>1</sup>,  
რადგანაც ქვეყნად მგოსნად  
მოხვედი.  
სიკვდილი არა,  
შენ სიცოცხლე უფრო  
გაშინებს!

2018

---

<sup>1</sup> ვაშინერს (მეგრ.) – ტაბუ ადევს, არ შეიძლება.



\*\*\*

უძინარი შენი ზღვები,  
როგორც ხორვა და  
დარჩელი,  
გიმზადებენ ბზის ტოტებს!  
მაგრამ ლექსი! –  
აქ დარჩენის  
შანს, წამით არ გიტოვებს!!!

2018



## ორი მნათი

გამთენიის ღამის ფსკერზე,  
ბრწყინავს მთვარის  
ათინათი,  
ადარ არის მნათობების  
ცაში ტევა...  
მაგრამ მათგან ცალკე მღვარი  
ორი მნათი,  
სამოთხიდან გამოდევნილს  
მოჰგავს ადამსა  
და ევას.

1960



## ოდაბადე

ბეულ კოლხეთის ცა და მიწა,  
 ბეურ ლეგენდას,  
 პოემას და ოდას<sup>1</sup> ბადებს!  
 მიტომ მისი სიყვარული  
 გულზე პირმჭრელ  
 გორდად<sup>2</sup> მადევს...  
 ზღვისპირ მდგარი სამეგრელო –  
 /საქართველოს მოდარაჯე/  
 ჩემი მზე და  
 ოდაბადე<sup>3</sup>!

1959

<sup>1</sup> ოდა (ბერძნ.) – საზეიმო ლირიკული ლექსი.

<sup>2</sup> გორდა – მახვილი.

<sup>3</sup> ოდაბადე (მეგრ.) – დაბადების ადგილი.



## ომალოში

მთა იდგა და ზამთარს წერდა  
და ეჭირა კალმად ხევი,  
აღმოსავლეთ-  
დასავლეთით,  
ცას დააჩნდნენ მზის წვეთებად  
ვარსკვლავები,  
ვით თეთრ არავცს და  
წაჩხურას კალმახები.

1962





\*\*\*

შენ სულ სხვახარ ჭირიმე!..

უკვე ორმოცს მიღწეულს,

რა მაქვს გასაკვირი მე,

როს შენ გოლგოთისაკენ –

ქრისტეს ჯვარის ზიდვაში,

სულ ნინველი ბაძავდი –

ნეტარ სვიმონ კვირინელს.

1977



## აკაფა

/ექსპრომტი/

აკადემიკოს სერგი საჯიას

შენი სოფელი აკაფა,

მტერმა და

ავისმოსურნემ,

სცადა და ველარ აჰკაფა!!!

ვერც ვერასოდეს გადახნავს,

წინაპრის ძვლებით მოკირწყლულ

შენს მიწას მათი აგაფა\*.

2019

---

\* აკაფა (მეგრ.) – კავი.



**მადამ ბოვარი,  
ულისე**

მიწიერ სამოთხის ხარ ერთიან  
მფლობელი,  
რომელს კრძალვით  
უვლის მზე.

/უფლის მონაპოვარი/

ამიტომ არ გასვენებს –  
დიდი გუსტავ ფლობერის  
ტურფა „მადამ ბოვარი“,  
მასთან ჯეიმსს ჯოისის –  
მკერდმაღალი „ულისე“.

1958



\*\*\*

ცაზე მოვარე და კუდიანი  
ერთი ვარსკვლავი  
გაბრწყინდა უცებ,  
ვით ამირანის ფარ-შიმშერი...  
ღრუბლების მთები ჰგვანან  
ჰიმალაღს.  
გამოაჩინა ტანი შიშველი  
ელვამ და...  
ბნელში წამს მიიმალა...

2019





\*\*\*

ზამთარს ძლივს გამოვადწიე  
ქათქათა მთოვარის მარხილით,  
ჩემო გაზაფხულო და  
ზაფხულო!  
თუმცა თქვენს სიტბოს და  
სიმწვანეს,  
ვით წინათ მე ისევ  
ვმარხულობ.

2017



## ფრთხი

გ. ღ-ს

„ფრთხი, ფრთხი გვინდა!“  
გალაქტიონი

მეცხრე ცისკენ გაგირბის  
ფიქრი სართულ-სართულად...  
დათოვლილი ქედები  
გებვენება აფრებად!  
ნეტავ სად გაგონილა!  
ანდა ქვეყნად –  
სად თქმულა! –  
ცაში უფროდ აფრენა?!

2017



**ტუია და რკინის ჯვარი**

რკინის ჯვარს მდგარს სამარესთან,  
ჩუმად მიაქვს გულთან  
დანა,  
და ტუია თავდახრილი,  
პატარა ბორცვს –  
ცრემლად აღვრის:  
რეკვიემს და  
სულთათანას.

1974



\*\*\*

მზეს ყივიან მამლები და  
სადღაც მთვარის –  
მოჩანს ეშვი.

შორს სიმღერა ისმის მესრის...  
თენდება და  
ვარსკვლავების ფოხალები,  
კვლავ ივსება მეწამული  
ოჯალეშით.

1999




\*\*\*

შურობუმუ დო ოდაბადე<sup>1</sup>,  
შენი ხორგაა და  
შენი ლარჩვა,  
სიზმარშიც ჯვარზე რომ გაცმევენ!  
რადგან იქ –  
ორიოდ ლექსი დაგრჩა,  
საფლავზე ჭიქა ღვინის წამქცევი.

2018

---

<sup>1</sup> სულისნამდგმელი და დაბადების ადგილი (მეგრ.)



## მოციქულები

ათწლეულების მერე  
დეთის ტაძარში ვუხმობ  
უხმოდ ...  
ციურ ემბაზებში ნავლებს,  
სულითა და ხორციით  
ულევს –  
ნეტარ ეფრემსა და  
პავლეს –  
ცით მოვლენილ მოციქულებს.


1959



## ხმა

ათასწლეულების იქით,  
რომ გადავა ხმა ქუხილად  
და შეაკრობს –  
მძინარ ღმერთებს  
სწორედ იმ ხმას,  
ხმას უხილავს,  
აღბათ მალე მოვიხელთებ.

1955



**ხილვა: მთვარე**

ამოსელა რომ დაახანა,  
ფეხმორთხმული მთვარე –  
შაჰს<sup>1</sup> ჰგავს  
და ქალწული ვარსკვლავებით  
ცა – მის ღამაზ ჰარამხანას.

1956

---

<sup>1</sup> შაჰ-აბაზს სამასზე მეტი ცოლი ჰყოლია ჰარამხანაში.



## სამყარო არის ძვიჯა

ფქეავს და ფქეავს ვარსკელაუთა  
დერდილს,  
და მთვარე მოჰგავს წისქვილს.  
ცას კი არააქვს მიჯნა,  
რომელშიც ოცნებები  
ინახება.

სამყარო არის ქვიჯა<sup>1</sup>,  
სადაც დღენიადავ  
მზის ქვით,  
ჩვენი სიცოცხლე ინაყება...

1957

---

<sup>1</sup> ქვიჯა (მეგრ.) – როდინი, ფილთაქვა.



## პოეტი

მიწა კვლავ გეპატარება,  
წახვალ და ზეციდან  
დახედავ

სამყაროს და...  
მოხვალ ქუხილად!  
შენა ხარ პოეტი  
და ხედავ –  
ხილულში მირიად უხილავს.

1955



**300 კოლხი ქრონოსი**

შორეული კოლხეთის –  
ღვთიურ იდუმალებას,  
სულს –  
წარსულში ატანდი,  
ვითა კოლხი ქრონოსი –  
მეფეთ-მეფე ატლანტის.

1965



\*\*\*

უსასრულობაში –  
სამყარო მარხია,  
    არ უჩანს არც თავი,  
                    არც ტანი.  
დღე უფლის სახეა,  
    ღამე კი – სატანის.

1961



## ტაო-კლარჯეთში

ხუთი საუკუნის მერეც,  
ისევ ფიცულობენ ძმის მზეს,  
არა მაჰმადსა და  
ალაჰს.  
და კვლავ ტაო-კლარჯეთიდან –  
ცრემლიანი თვალით გვიმზერს:  
ჰოშრეთი<sup>1</sup> და მიძნაძორი<sup>2</sup>,  
ნუკა<sup>3</sup>,  
ექექი<sup>4</sup> და ჯალა<sup>5</sup>.

1966

---

<sup>1,2,3,4,5</sup> – ქართული ეკლესია-მონასტრები (IV – XVI ს.),  
რომლებიც ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა



**ჯვრები: გუდან-ლაშარის**

ქისტი რაღას დააკლებდა  
და ან ლეკი – აშარი.

მაშინ,

როცა ფშავ-ხევსურეთს,  
დღენიადგ მფარველობდნენ  
ჯვრები –

გუდან-ლაშარის.

1965



## ქუბაღე

ბაბილონის გოდოლის  
ცად მდგარ რეავე სართულის  
კედლებს მკერდზე ეწერათ  
სიტყვა კოლხურ-  
ქართული:  
„ქუბაღე!“

1982

---

\* „ქუბაღე“ (მეგრ.) – შემოგველე. ჰეროდოტეს (ძვ. წ. IV ს.) ცნობით, გოდოლის სიმაღლე იყო 90 მეტრი. საძირკვლის სიგანე 180 მ. პირველი სართულის სიმაღლე იყო 33 მ, მეორის – 18, მეშვიდის – 15 და ა. შ. გოდოლის მშენებლობაზე დაიხარჯა 85 მილიონი აგური.



\*\*\*

ვითარც ადრე,  
ქვესკნელი  
ბნელში, ისევ ისეა,  
მაგრამ, მწამს „ოდისეა“,  
ჩუმ სიხარულს განიჭებს,  
რადგან იცი, სიზმრების  
სახილველად ეწვევი  
შენ ჰადესის კარიბჭეს!

1984



\*\*\*

რომ დაგავიწყონ წარსული  
და მასთან ერთად ეგრისი,  
დღეს არის ამის მცდელობა!!!  
და ვით იტყოდა ტიცვიან,  
მათ დიდებულად იცვიან:  
დღევანდელ საქართველოში,  
ძნელია ეგრისელობა!

2014



\*\*\*

ეზოთერიკულს მისდევდა ბილიკს...

ღამე უღრანში –

უჭირდა პოვნა.

და მერე გვიან...

სამოთხის კარი,

გაუღეს...

მაგრამ არ ახსოვს ხსოვნას.

2011



\*\*\*

იყო სარგონ მეორე<sup>1</sup>,  
მან ესროლა მზეს შუბი!  
და მას მერე მოისმის  
ციდან წყევლა-ჩივილი:  
ხაღდესი<sup>2</sup> და თეშუბის<sup>3</sup>,  
ცეცხლისმფრქვეველ შივინის<sup>4</sup>.

1979

<sup>1</sup> – სარგონ მეორე – ასურეთის მეფე (ძვ. წ. VIII ს.).

<sup>2</sup> – ხაღდე – უზენაესი ღმერთი ურარტუს ღვთაებათა პანთეონში (ძვ. წ. IX ს.).

<sup>3</sup> – თეშუბი – ამინდის, ჭექა-ქუხილის ღმერთი.

<sup>4</sup> – შივინი – მზის ღმერთი.



\*\*\*

მიიმღერის სიყვარულს

ისე,

ვით ავთანდილი,

ქვეყნად ვერ დაეცია.

პოეტია ნამდვილი,

მაგრამ მაინც პოეტზე

ერთი ადლით მეტია.

2014



## ბენეფიციუმი

ქართული ცისქვეშ დამენათევი  
პოეზიაა შენთვის –

ელვით გასანთლული ყულფი.  
და მაინც...


„კოლხური ფსალმუნები“  
და „იქმენ ნათელი!“

ბენეფიციუმი\* უფლის.

2001

---


\* ბენეფიციუმი (ლათ.) – წყალობა.



**არამხუტუ-ამირანი-პრომეთე**

ლეგენდებიდან მოსულნი –  
მიტებს და ლეგენდებს  
ერთვიან,  
ვინც უცხადებდა ომს ღმერთებს.  
სამია,  
მაგრამ ერთია:  
არამხუტუ-  
ამირანი-  
პრომეთე.

1969



## ეოსი

სადღაც მარადისობის  
გზაზე,  
კვლავ მიგაცილებს  
მზითმოსილი ეოსი<sup>1</sup>.  
ვერრას გიზამს მაცილი<sup>2</sup> –  
ღვთის საჭურველით  
შემოსილს!

2001

---

<sup>1</sup> – ეოსი (ბერძ.) – განთიადის ღმერთი.

<sup>2</sup> – მაცილი (ქართ.) – ავი სული, დემონი.



\*\*\*

მარად მედინი მზის და  
სიცოცხლის  
ხელებით აკვანდარწეულები  
რომ დგანან ფეხზე,  
ქართველის მთებია.  
ბრძოლით ჩავლილი ასწლეულები –  
ძველ კოლხეთისკენ –  
ისევ ისე იხედებიან...

1969



## იასპით და აქატით

განვლე ასწლეულები

და იქიდან –

აკამდე,

მოხვედი უფლის ხმობაზე –

და შენ ააგე სასახლე:

იასპითა და

აკატით,

ანთრაკითა და ტოპაზით.

2004



\*\*\*

ყველა გზა აღბათ იქ უხვევს  
და ჰყვავის მზე და  
იელი.

მგოსანო, შენი სახელი,  
სამყაროს გადაიელვებს,  
მეხივით გადაიქუხებს.

2014



\*\*\*

მიმწუხრისას წუხელ მოვარემ,  
დარახტული ვარსკვლავების  
გადუქროლა ცას ამალით.  
და არ დაუტოვა ღამეს  
გულში  
ბნელის ნატამალი.

1967



\*\*\*

ისე, ვით სიცოცხლე,  
სიკვდილიც შენ გშია  
და გსურს წარსულის  
ღანდები აყარო!  
რადგანაც სამყარო შენშია,  
შენა ხარ სამყარო.

2002



\*\*\*

ვითარც ათასწლეულების  
წინათ,  
ახლაც წარმართების –  
მონაბერი ქარიშხალი,  
ისევ ისე ქრის ტიალი,  
მაგრამ ქრისტეს გაჩენამდე,  
მე ვიყავი ქრისტიანი.

1973



\*\*\*

არაგი დეღვას დაგვირდა,  
მოსილი შავი ღრუბლებით,  
ნისლებში მთები არ ჩანან  
და ჩვენ ჩარგლულას ნაპირთან –  
ლუკას,  
თედოს და  
ბაჩანას,  
აჩრდილებს ვესაუბრებით.

1963



## ამირსპასალარი

ადამის ძის ნაშიერი,

ამ მიღეთში

არსად არი,

კაცი უფლის მოვლენილი:

სიბრძნის ქვაზე აზრის ღესვის!

შენ ხარ ამირსპასალარი,

სპა – მრავალი ქართულ ღექსის.

2009



## მიქაგამრიო

საღღაც,

მიუვალ პიტალოზე,  
ეს ჩემი მცირე ნანადირევი,  
ვითარცა აქ,

ისე

იქაც გარიო,  
სად ვარსკვლავების ქინკლა ირევა,  
მიქაგამრიო!

2004



ქ ა მ ა ნ დ ა რ ი

ღამეებმა უნ დაგსაჯეს,  
თუმც სიყვარულს

გელარ გტაცებს,  
ვერც ღარი და ვერც ავღარი  
და სიტყვაში –

სიტყვას აჯენ,

ვით ოსტატი ქამანდარი\*.

2003

---

\* ქამანდარი – კარგი მსროლელი.



\*\*\*

ადამის ძის ისტორია,  
თუმცა ბრძოლითა და  
დავით,  
მაინც მართლის ბილიკს მისდევს,  
რადგან იცის,  
ვით აბრამი,  
ქალდეველი იყო ქრისტე.

1979



\*\*\*

გაჩენის დღიდან სივრცეებს –  
აწუხებთ ვარსკვლავთა იარა.  
და მიტომ ცა მიწას

არ ევარობს.

უკოლხეთოდ, საქართველო კი არა,

უწარსულოა –

სამყაროც.

1969



\*\*\*

ღრუბლების ზვირთები დელავენ  
მთვარეში

და მესის ძახილზე ფრთხებიან...

ფიქრის ზღვა არ ყოფნით სათარეშოდ  
შენს ლექსთა სტრიქონებს,  
ალბატროსების ფრთებიანს.

2001



## ჩე გოლა

ჩე გოლა<sup>1</sup> –  
მთა გახლავთ მონსალვატის<sup>2</sup>,  
სადაც „კოლხური ფსალმუნები“,  
ვით ტიტურელის გრაალის ტაძარი  
(რომელსაც ქოროები ამშვენებენ),  
სულ ბივრიტითა და  
ონიქსის, –  
ნათალი ქვებითაა ნაშენები.

1999

<sup>1</sup> – ჩე გოლა – (მეგრ.) – თეთრი მთა (სამეგრელოში).

<sup>2</sup> – მონსალვატი – მთა იერუსალიმში.



\*\*\*

მწუხრისას ცის ბილიკებით,  
ოცნება შორს გამიტყუებს –  
(დამაძალებს სხვათა მტრობას!)  
ვით ადრე,  
ეხლაც თავს ვიტყუებ,  
ვინა თქვა ჩემი პოეტობა?!

2004



\*\*\*

სიცოცხლის კიბეებით ჩამოდის ზამთარი,  
და თოვლი მოუშვია  
თმა-წვერივით,  
თვალელები სინათლით ევსება.  
მდინარეები –  
პოემებია,  
ნაკადულები – ლექსები,  
მთების ცრემლებით დაწერილი.

1962



\* \* \*

დაუტოვიათ უამთა სინესტე  
და გადუვლიათ ღრუბლებს  
შაოსანთ.

მაინც სიშანის მთაზე ისევ  
ელის სინ ესი<sup>1</sup>,  
„დარდის ეკლებზე მძინარ  
ჰაო „ანს“.

2001

---

1,2 – ჩინელი პოეტები.



\* \* \*

ლოცვის ატლასით მოსილი,  
ენუკვი შენ უფლის ოროს<sup>1</sup>.  
სხვები კი სინდისმა ჰქენჯნონ  
შენ,  
ცაში მთიებთან ცხოვრობ  
და არა მიწაში,  
ვით ჰენჯო.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> ორო (მეგრ.) – ჩრდილი.

<sup>2</sup> ჰენჯო – იაპონელი ეპისკოპოსი (IX ს).



\* \* \*

ჩვენი ბედისწერის ძაფს,  
მზის ცხელ გვერგვზე  
ართავს ცა.  
მაგრამ თუკი ვიმარჯვეთ  
და სიკვდილსაც გაეთასმავთ,  
მაშინ წელს ასს,  
არა,  
ჩვენ ვიცოცხლებთ ათასსაც.

2007



\* \* \*

ვარსკვლავები –  
ანგელოზებია,  
მთვარე კი არა,  
მხოლოდ მზეა – ღმერთი სრული.  
ჩვენ ერთი ვართ და ღელვას  
არ ვიშლით.  
მე და ზღვას გვიღვას ერთი სული,  
ცით გადმოსული  
სული ქარიშხლის.

2005



\* \* \*

აქ არყოფნის ტოტზე მჯდარი,  
შაშვივით თვალდახუჭული,  
დღენიადაგ ყოფნას გალობ,  
რომ რეკს, ღამის მზის ზარია.  
და შენ იცი,  
ეს საწუთრო –  
სიზმრის,  
სიზმრის –  
სიზმარია.

1966



\* \* \*

ამ ცისქვეშეთში,  
ნეტავი რა უნდა გიკვირდეს,  
როცა ადამიანს  
სიცოცხლე,  
თავისი ფეხით რომ მიჰყავს  
სიკვდილთან.

2006



\* \* \*

ზღაპრებში და ლეგენდებში,  
ეჰ, რამდენი მიძინია.  
და სიზმრებში მინახია  
„დაო ღე“<sup>1</sup> და „შიძინია“<sup>2</sup>  
ისე, როგორც „კოლხურ ფსალმუნს“,  
მზე შეენოდათ მზის ძირიანს.

1992

---

<sup>1</sup> „დაო ღე ძინი“ – წიგნი მზისა და სათნოებისა (ჩინური პირველი პოეტური ძეგლი (VI ს. ჩვ.წ.ა.)

<sup>2</sup> „შიძინი“ – ჩინური ხალხური შემოქმედების უძველესი ძეგლი.



\* \* \*

(ვარიანტი)

მოვა ამქვეყნად...

და ძე ადამის,

ყოფნა არ ყოფნის დღეზე არ მსჯელობს.

თუმც...

ვითა ბრძანებს

მიქელ ანჯელო

სიკვდილი ხსნაა...

სიცოცხლეა კაცთა

სასჯელი.

2003



**ტოვებ „უპანიშადებს“**

ცათა იღუმალების

გწევას და გბუგავს  
აღმური,

მაგრამ ვილაც გამშვიდებს

– ტოვებ „კოლხურ ფსალმუნებს“,  
როგორც „უპანიშადებს“\*.

2001

---

\* „უპანიშადები“ (სანსკრ.) – საიდუმლო მოძღვრება დაწერილი ლექსად და პროზად (VIII-VII ს.ჩვ.წ.ა.)



\* \* \*

უამთა ცხრაკლიტულში,  
შენ რომ მივიგნია –  
წიგნი „იქმენ ნათელი“  
უშქარ ღამენათევი,  
უფლის წიგნთა –  
წიგნია.

1993



## მცხეთაში ჩანიანის ბახსენება

სადღაც ცის სიღურჯეში,  
მთვარე წელში მოხრილი,  
ფეხმოდრეცილ ჩანს იად.  
ფუ ჯუს<sup>1</sup> მოჰგავს – თბილისი,  
და მცხეთა კი – ჩანიანს<sup>2</sup>.

1983

---

<sup>1</sup> ფუ ჯუ – ჩინეთის ძველი ქალაქი.

<sup>2</sup> ჩანიანი – ჩინეთის უხველესი დედაქალაქი.



\* \* \*

ზეცა –  
იესოს ტანია,  
მთიები – სისხლის წვეთები,  
მთვარე –  
ნაღახური იარა,  
რომელმაც სივრცე დანისლა,  
იმ ერთმა გამოიარა  
ბნელი,  
მზიანი ღამისა.

1978



## ბარენცის ზღვა

აქ განისვენებს რუაღდ ამუნდსენ  
და ქარიშხალად აქ ბობოქრობს  
სული ნობილეს –  
ზვირთებად ცისკენ ხელაპყრობილი,  
არ ჩანს “ლატამი”  
ღურჯი ფსკერი რომ დაამძიმა  
და ზღვა ხშირ-ხშირად მოდის ნაპირთან  
და ეუბნება მიწას სამძიმარს.

1964



\* \* \*

ვარსკვლავები –  
გულწითელა ჩიტებია,  
მთვარე-დათოვლილი კაკანათი,  
საღამო ბავშვებს რომ  
დაპირდა,  
ნეტავი რა აქვთ საკამათო,  
ამ ტალღებს,  
იმ მწვანე  
ნაპირთან.

1996



**მთები**

როცა ცადაწვდილ ვუმზერ მწვერვალებს,  
ვშიშობ,  
მზერა არ დამიელამდეს,  
რადგანაც მათში –  
ვჭკვრეტ რუსთაველს,  
დანტეს,  
გოეთეს,  
მარად ფიქრიან სიხუმეში მღვარი  
ყელამდე,  
მთები,  
ო, როგორ ჰგვანან პოეტებს.

1991



\* \* \*

მოფრინდება და ფასკუნჯი  
ზოგჯერ ზღაპარში  
მიტაცებს,  
ფრთებზე ცეცხლმოკიდებული,  
მაშინ ამ ცოდვილ მიწაზე –  
თავი მეუფედ მეგულის.

1999



## ბუხარი

მკლავებ გადახვეულ ქედებს,  
დამღვართ ზამთრის ქარ-წვიმაში,  
ერთმანეთი არ ეთმობათ,  
ყინვის პაწაწინა რქებით –  
ხტიან წყლები არჩევივით,  
ელოდება ტყეთა ნობათს –  
ბუხარი პირდაფხენილი.

1961



\* \* \*

ცა –

პოეზიის მოჭგავს საღამოს

და მთები ფეხისწვერზე იწვევენ,

რომ დედამიწა კარგად ისმენდეს:

სახე გაბადრულ მთვარის შეძახილს

და ვარსკვლავების –

ცეცხლისმფრქვეველ

აპლოდისმენტებს.

1960



\* \* \*

სიცხით და ხვატით ცხრატყავ –  
გაცლილი,  
წითლად მზის ენა გადმოგდებული,  
სანაპიროზე დგას აგვისტო –  
ეს ძაღლთაპირი,  
და ცეცხლს უკიდებს გამგლეღ-  
გამომგლეღს,  
გულში იხუტებს შეშინებულ  
ტაღდას ნაპირი,  
ამხელა ზღვაში ქარს  
რა გამოლევს.

1970



\* \* \*

დედა ქართლისა –  
სამ, ოთხ აკვანს ერთად  
არწევდა –  
და დამღეროდა “ნანას” პატარებს,  
დღეს ყველაფერი გადაგვარდა,  
დაცხრა –  
დაკნინდა,  
“სარწევველაზე” თვალი ჩუმად რომ  
გავაპარე,  
ჩემმა ბავშვობამ შემომტირა  
ძველი აკენიდან.

1959



\* \* \*

ფიქრი,

ათასწლეულების,

მიძინებულ ღრუბლებს აშლის,

მერე გრძნეულ დამეს მირბევს.

და ჰკიდია მთვარე ცაში,

ვით კოლხური ტყავი კვირბის\*.

1986

---

\* კვირბი – იგულისხმება ოქროს საწმისი.



\* \* \*

ქარიშხალთან ბრძოლით დადღიღს,  
ჩამოქენძიღს, ვითა გლახას,  
ღამეს აღარ მიეკარა რული

ღა...

დიღით კი,

გაშხლართული როცა მნახა,

ზღვას,

მაშინვე წაუვიღა გული.


1999



\* \* \*

უსაზღვროების ღამის წყვილადში,  
ყრია ვარსკვლავთა ოქროს  
მადანი.  
ცას ცისარტყელის შვენის ნაწნავი.  
და დღე ყოველი მზის  
ჩირადღანით,  
არყოფნისაკენ გზას მიგვასწავლის.

1998



\* \* \*

რაღა ქნას,  
მზეს რომ თვალს ვერ  
უსწორებს,  
ბრინჯივით აბნევს შეხვედრა დილის,  
რადგან სიკედილზე  
ფიქრი აწვალებს,  
წელში მოხრილი დღეს მისი ჩრდილი  
დედამიწაზე კვლავ დაწანწალებს.

1988



**ქართული ზღაპრების კითხვისას**

ზღაპრიდან დგეოთა ისმის დრიალი,  
ო, ალბათ კაცის ხორცი  
მოშივდათ.

(ნაცარქექიამ დრო ვერ იხელთა.)  
და ცად აღმართულ  
დამის კოშკიდან –  
მთვარის თეთრ სარკმელს  
გააღებს ელვა  
და ვითარც ბაყბაყ დგევის ასული,  
დედამიწაზე ჩამოიხედავს.

1986



**ღრო - ქურდი**

ღრო – მარადის უჩინო,  
ბოლთასა სცემს ზღვისკარად  
და დილიდან –  
მწუხრამდე,  
თავს გვახურავს ცის კარავს.  
და მზის ყოველ ჩასვლისას,  
ჩვენს თეთრ დღეებს  
იპარავს.

1988



\* \* \*

დღის გათენება გვიხარია,  
რადგან გვავიწყებს  
ზოგჯერ სიავეს.  
ყველა კარგები იქ არიან.  
და ჩვენ გვგონია  
ქროლა ნიავის,  
ცხოვრება, თურმე პირქარია!

1997



**„პოლხური–ოქრომრავალი  
ქვეყანა“**

ოქროს ქვეყნის ნაშიერს –  
გმოსავს ოქროს სამოსი,  
გესმის ოქროს ყიჟინა  
პონტოს ზვირთთა მაცარის.  
ცხოვრობ გზა-გასაყარზე,  
„მზის ჩასვლის“<sup>1</sup> და  
ამოსვლის<sup>2</sup>“.

1969

---

<sup>1</sup> „მზის ჩასვლა“ (სემიტ.) – ევროპა

<sup>2</sup> „მზის ამოსვლა (სემიტ.) აზია



\* \* \*

„არა სიცოცხლე, არა სიკვდილი,  
არამედ სულ სხვა“.

ტგრანელი

მარადისობის ძეგლად დამდგარი,

ბრინჯაო არა,

შენა ხარ თიხა,

უსპეტაკესი ვითარცა ფიფქი.

და დღენიადაგ უამივით

მიხვალ –

სიცოცხლესა და სიკვდილის იქით...

2001



\* \* \*

სხვა რწმენით და იმედით,  
შემოგყურებს ეპოქა,  
რადგან დემონს  
არ ევარობ.  
მალე აღარ გეყოფა –  
სათარეშოდ სამყარო.

1959



\* \* \*

ვითარცა დანტე ალიგიერმა –  
განაღიდა გზა ჯოჯოხეთის,  
ისე მე ჩემი წარსული ვაქე.  
წყვდიადიდან ხმა მესმის კოლხეთის:  
– იმ, გზას შორეულს  
ვერ ვაგნებ აქეთ.

1964



\* \* \*

სობის წყლის პირას  
ჩამომდგარ ღამეს,  
მთვარე ახურავს,  
ვით ქუდი ჭილის.  
და ესხურება სიცოცხლედ წამი –  
ღორის კუდივით პატარა  
ბილიკს.

1974



\* \* \*

მწუხრია და ცის ფერებში,  
ზღვას მკივანი  
თოლიები,  
შავს და თეთრს ვერ ანსხვავებენ.  
მეხის ხმაზე ჩიტებივით  
უცებ დაფრთხნენ  
ვარსკვლავები.

1960



**ხილვა: ევროპის მოტაცება**

პონტოს ზღვისკარად ატმის ტოტივით  
ჰყვავის კოლხეთი –  
ცამდე მაღალი.  
და მის ასულს კი იტაცებს ზეესი.  
და აი, ახლა  
ათასეულ წელთა მიღმიდან  
მე,  
ევროპას\* კივილი მესმის.

1989

---

\* ევროპა (ეოროფა) –მეგრ.) სიყვარული.



\* \* \*

ოქროს მთიებით შემოსარული,  
მთათა გადაღმა,  
სად ცის კიდეა,  
ღრუბელთ ფთილები ჩანან გედებად.  
მამლის ყივილი –  
ბეწვზე ჰკიდია,  
ფრთას ფრთას შემოჰკრავს და  
გათენდება!

1968



## მზის დაბნელება

თუ კაცთა მოდგმა ცოდვას  
აღარ მოინანიებს,  
იფეთქებს ჭირი,  
გამრავლდება ურჯულოება.  
მზე დაბნელდება, ვერ მიწვდება ღამეს  
ნათელი,  
ერთად ჩაქრება ვარსკვლავების  
კორიანტელი.  
და ვით პირველად,  
შეირხევიან ძალნი  
ციურნი.  
რადგან ყოველი ბოროტების გზებით  
იურვის...  
კაცთ არ ექნება არსად მიწა ფეხდასადგამი,  
მაგრამ...ძე არა!  
მამა იხსნის მოდგმას ადამის!

1969

**ჩემი გული ბუხარია**

შემოჰკრავენ ფრთებით ტაშს და  
გათენება უხარიათ –  
ხის ტოტებზე დამსხდარ მამლებს.  
მე კი შევცივინებ მნათობს.  
ჩემი გული ბუხარია,  
თვით იწვის და  
სხვას რომ ატობს.

2003



\* \* \*

შუაღამისას გადაჭრილი  
ელვის ნაჯახით,  
მთვარე თითქოს და  
მორია რწყავის –  
ათასეული წრიული ხაზით.  
ღამურებივით ვარსკვლავები  
კიდია ცაზე  
და ბნელის ნაცვლად,  
სივრცეებს კვლავ სინათლით  
რწყავენ.

1979



## აბანტები და ამირანტები

წარსულიდან კვლავ მითვალთვალებენ,

– არ დავივიწყო:

თავს მაბრალეებს

და ბნელში ხსოვნის სანთლებს

ანთებენ:

მაკრის<sup>1</sup> – მაკრონი<sup>2</sup> და

მაკრალეები<sup>3</sup>,

აბანტები<sup>4</sup> და ამირანტები<sup>5</sup>.

1969

---

<sup>12345</sup>კოლხური (ქართველური) ტომები.



\* \* \*

ფიქრი,  
ათასწლეულების,  
მიძინებულ ღრუბლებს აშლის,  
მერე გრძნეულ ღამეს მირბევს.  
და ჰკიდია მთვარე ცაში,  
ვით კოლხური ტყავი კვირბის\*.

1986

---

\* კვირბი – იგულისხმება ოქროს საწმისი.



\* \* \*

ქარიშხალთან ბრძოლით დადღიღს,  
ჩამოქენდიღს, ვითა გლახას,  
ღამეს აღარ მიეკარა რული

და...

დილით კი,

გაშხლართული როცა მნახა,

ზღვას,

მაშინვე წაუვიდა გული.


1999



\* \* \*

უსაზღვროების ღამის წყვილადში,  
ყრია ვარსკვლავთა ოქროს  
მადანი.  
ცას ცისარტყელის შვენის ნაწნავი.  
და დღე ყოველი მზის  
ჩირადღანით,  
არყოფნისაკენ გზას მიგვასწავლის.

1998



\* \* \*

რაღა ქნას,  
მზეს რომ თვალს ვერ  
უსწორებს,  
ბრინჯივით აბნევს შეხვედრა დილის,  
რადგან სიკედილზე  
ფიქრი აწვალებს,  
წელში მოხრილი დღეს მისი ჩრდილი  
დედამიწაზე კვლავ დაწანწალებს.

1988



**ქართული ზღაპრების კითხვისას**

ზღაპრიდან დგეთა ისმის დრიალი,  
ო, ალბათ კაცის ხორცი  
მოშივდათ.

(ნაცარქექიამ დრო ვერ იხელთა.)  
და ცად აღმართულ  
ღამის კოშკიდან –  
მთვარის თეთრ სარკმელს  
გააღებს ელვა  
და ვითარც ბაყბაყ დევის ასული,  
დედამიწაზე ჩამოიხედავს.

1986



**დრო - ქურდი**

დრო – მარადის უჩინო,  
ბოლთასა სცემს ზღვისკარად  
და დილიდან –  
მწუხრამდე,  
თავს გვახურავს ცის კარავს.  
და მზის ყოველ ჩასვლისას,  
ჩვენს თეთრ დღეებს  
იპარავს.

1988



\* \* \*

დღის გათენება გვიხარია,  
რადგან გვავიწყებს  
ზოგჯერ სიავეს.  
ყველა კარგები იქ არიან.  
და ჩვენ გვგონია  
ქროლა ნიავის,  
ცხოვრება, თურმე პირქარია!

1997



**„კოლხური–ოქრომრავალი  
ქვეყანა“**

ოქროს ქვეყნის ნაშიერს –  
გმოსავს ოქროს სამოსი,  
გესმის ოქროს ყიჟინა  
პონტოს ზვირთთა მაყარის.  
ცხოვრობ გზა-გასაყარზე,  
„მზის ჩასვლის“<sup>1</sup> და  
ამოსვლის<sup>2</sup>“.

1969

---

<sup>1</sup> „მზის ჩასვლა“ (სემიტ.) – ევროპა

<sup>2</sup> „მზის ამოსვლა (სემიტ.) აზია



\* \* \*

„არა სიცოცხლე, არა სიკვდილი,  
არამედ სულ სხვა“.

ტ.გრანელი

მარადისობის ძეგლად დამდგარი,

ბრინჯაო არა,

შენა ხარ თიხა,

უსპეტაკესი ვითარცა ფიფქი.

და დღენიადაგ ჟამივით

მიხვალ –

სიცოცხლესა და სიკვდილის იქით...

2001



\* \* \*

სხვა რწმენით და იმედით,  
შემოგყურებს ეპოქა,  
რადგან დემონს  
არ ევარობ.  
მალე აღარ გეყოფა –  
სათარეშოდ სამყარო.

1959



\* \* \*

ვითარცა დანტე ალიგიერმა –  
განადიდა გზა ჯოჯოხეთის,  
ისე მე ჩემი წარსული ვაქე.  
წყვდიადიდან ხმა მესმის კოლხეთის:  
– იმ, გზას შორეულს  
ვერ ვაგნებ აქეთ.

1964



\* \* \*

სობის წყლის პირას  
ჩამომდგარ ღამეს,  
მთვარე ახურავს,  
ვით ქუდი ჭილის.  
და ესხურება სიცოცხლედ წამი –  
ღორის კუდივით პატარა  
ბილიკს.

1974



\* \* \*

მწუხრია და ცის ფერებში,  
ზღვას მკივანი  
თოლიები,  
შავს და თეთრს ვერ ანსხვავებენ.  
მეხის ხმაზე ჩიტებივით  
უცებ დაფრთხნენ  
ვარსკვლავები.

1960



**ხილვა: ევროპის მოტაცება**

პონტოს ზღვისკარად ატმის ტოტივით  
ჰყვავის კოლხეთი –  
ცამდე მაღალი.  
და მის ასულს კი იტაცებს ზეესი.  
და აი, ახლა  
ათასეულ წელთა მიღმიდან  
მე,  
ევროპას\* კივილი მესმის.

1989

---

\* ევროპა (ეოროფა) –მეგრ.) სიყვარული.



\* \* \*

ოქროს მთიებით შემოსარული,  
მთათა გადაღმა,  
სად ცის კიდეა,  
ღრუბელთ ფთილები ჩანან გედებად.  
მამლის ყივილი –  
ბეწვზე ჰკიდია,  
ფრთას ფრთას შემოჰკრავს და  
გათენდება!

1968



## მზის დაბნელება

თუ კაცთა მოდგმა ცოდვას  
აღარ მოინანიებს,  
იფეთქებს ჭირი,  
გამრავლდება ურჯულოება.  
მზე დაბნელდება, ვერ მიწვდება ღამეს  
ნათელი,  
ერთად ჩაქრება ვარსკვლავების  
კორიანტელი.  
და ვით პირველად,  
შეირხევიან ძალნი  
ციურნი.  
რადგან ყოველი ბოროტების გზებით  
იურვის...  
კაცთ არ ექნება არსად მიწა ფეხდასადგამი,  
მაგრამ...ძე არა!  
მამა იხსნის მოდგმას ადამის!

1969

## ჩემი გული ბუხარია

შემოჰკრავენ ფრთებით ტაშს და  
გათენება უხარიათ –  
ხის ტოტებზე დამსხდარ მამლებს.  
მე კი შევცივინებ მნათობს.  
ჩემი გული ბუხარია,  
თვით იწვის და  
სხვას რომ ათბობს.

2003



\* \* \*

შუადამისას გადაჭრილი  
ელვის ნაჯახით,  
მთვარე თითქოს და  
მორია რწყავის –  
ათასეული წრიული ხაზით.  
დამურებივით ვარსკვლავები  
კიდია ცაზე  
და ბნელის ნაცვლად,  
სივრცეებს კვლავ სინათლით  
რწყავენ.

1979



## აბანტები და ამირანტები

წარსულიდან კვლავ მითვალთვალებენ,

– არ დავივიწყო:

თავს მაბრალეებს

და ბნელში ხსოვნის სანთლებს

ანთებენ:

მაკრის<sup>1</sup> – მაკრონი<sup>2</sup> და

მაკრალები<sup>3</sup>,

აბანტები<sup>4</sup> და ამირანტები<sup>5</sup>.

1969

---

<sup>12345</sup>კოლხური (ქართველური) ტომები.



## მარცვალი

ადამის მოღმის წახდა ამინდი,  
ოცდაათ ვერცხლად მცხოვარი  
როცა გაცვალეს...  
და ასე მოდის დასაბამიდან:  
ქვეყნად ყოფნა რომ აღარ გათავდეს.  
მიწას სამარედ ეძებს მარცვალი,  
რომ კვლავ სიცოცხლედ  
ამოთავთავდეს!



## მარცვალი

ადამის მოღმის წახდა ამინდი,  
ოცდაათ ვერცხლად მცხოვარი  
როცა გაცვალებს...  
და ასე მოდის დასაბამიდან:  
ქვეყნად ყოფნა რომ აღარ გათავდეს.  
მიწას სამარედ ეძებს მარცვალი,  
რომ კვლავ სიცოცხლედ  
ამოთავთავდეს!



\*\*\*

ჭერმაღალი ცა კოლხური,  
მზეს და ნათელს  
ობლად წვიმდა.

ჩანდა ყოფნა იაფივით.  
და “ფსალმუნებს” –  
ყოვლადწმინდა  
სული შენი მიაფინე...

1977



\*\*\*

გულზე ხელებდაკრეფილი  
ზღვა კუბოში ასვენია.  
სადღაც ქარიშხალი ანცობს.  
ქვეყნად არვის არ სმენია,  
რაც შენ ზეცის გონმა  
გამცნო.

1975



## კველი კოლხეთი

გადავიწყების ჭიშკართან –  
    უიმედოდ მდგარ ძველ  
    კოლხეთს,  
გაქრობის შიშიც აჭამეს!!!  
    აწ უვაჟ-უეგრისელოდ  
    მის უსამანო ლურჯ-ცაზე  
ჩიტიც ვერ გადაიფრენს და...  
    ყვავიც ვერ გაიჭაჭანებს.

1997





**უქმოს-ძმა**

მთად არა,

ბარში გაზრდილი,

სადაც ჭირია, იქ დგახარ!

სად მგელი “ბალახს”

უძოვს თხას!

შენ,

ეგრისელო, ვით ჰგახარ,

ვაჟა-ფშაველას “უქმოს-ძმას”.

2016



N-ს

(ქართული პოეზიის რაინდს,  
ქართული კულტურის დესპანს,  
ღირსების ორდენის კავალერს..)

სოფლიდან “ჩამოთრეული”,  
შენ გლეხის შვილი –  
“ტეტია”.

არ ღამობ “შინ” დაბრუნებას!  
და რაც გარგუნა ბუნებამ,  
ისიც –  
ათასჯერ მეტია!

2004



**ვაჟავ! –**

**ქვე ჰელიოსის**

ეხლა შენთვის ერთია –

ფაზისი და

ნილოსი.

სივრცეები გერთვიან,

სადაც გინდა ილოცე...

ზე-ცა შენი ღმერთია

ვაჟავ! –

ქვე ჰელიოსის.

1976



## ქალღეველები

თავს აფარებენ შოთრეულ  
ათასწლეულებს ნისლიანს,  
ის წინაპართა ლანდები  
ერთიან უნდა ავეარო,  
რადგანაც მივიწყებულნი –  
ჩემი ხორცი და  
სისხლია,  
ვითარცა ოქროს საწმისი,  
ვით ცხრა მუხა და  
ცხრა წყარო.

1977



\*\*\*

ცისკენ ხელებაპყრობილი  
დედა,  
საღამოს და დილით,  
ფიცულობდა ღმერთს და შენს მზეს,  
და ვით სვიმონ ღვთისმეტყველთან –  
ღვთაებრივი ხმათა სხივი  
მაღე “გარდმოსდება”  
შენზე.

1960



\*\*\*

მირიადი წელია –  
ცა მთიებით,  
მიწა სახლით ირწყვება,  
და ივსება მოთმინება იობის,  
ერთმა,  
დმერთმა უწყის  
კაცობრიობის  
ისტორია, რომ პონტოს<sup>1</sup> და  
ჯურჯანის<sup>2</sup> შუა –  
იწყება.

1986

---

<sup>1</sup> პონტო – შავი ზღვა

<sup>2</sup> ჯურჯანის – კასპიის ზღვა



## ფერისცვალება

საწუთროს ზნე ყოფილა:

ფერი უნდა იცვალო!

სიმართლისთვის

ტალახთან

ერთად ტყვიას გესვრიან!!!

და...

შენ, დიდო პოეტო, –

ამაღლდე, ვით მესია,

უნდა გარდაიცვალო!

1986



## მთები და მდინარეები

მშობლიურ მიწას ტოვებენ  
და ჯოგი მდინარეების  
გარბიან სადღაც

ბღავილით,  
გზებს მიჰყვებიან ნისლიანს...  
მთები კი დგანან ამაყად  
და ფეხს წამით არ  
იცვლიან!

1970





\*\*\*

საწუთრის გზაზე მიხვალ დაღლილი  
და დღე ყოველი დიდგორად  
და გიჩანს მარტყოფად  
(რომელიც ადრე ოქროდ გეზარა),  
ყოფნა რას გიზამს,  
თუკი არ ყოფნა.

ძუენა ძაღლივით,  
უკან თუ არ წამოგეპარა.

2016



\*\*\*

პონტოს ზღვიდან ამოსული,  
უსამანო სივრცეს ერთვი...  
ოქროდ გმოსავს –  
მზის აურა.

ხარ პოეტი და...

ვით ღმერთი –  
ლაპარაკობ იგავურად.

1989



**მოლოდინი – “ის”**

მთიები –

ღამის ფესვია,

ვითარცა სწამდა ნოვალის\*.

სსნად და იმედად მომავლის –

პოეზიის დიდ მესიად,

აუცილებლად მოვა “ის”.

1970

---

\* ნოვალისი – დიდი გერმანელი პოეტი.



\*\*\*

შორეული ხმები გესმის –  
მუსხის-მოსხის და  
მესხების,  
სამშობლოზე ყურმიდებულს.  
შენ,

რუსთველის ნაშეირი,  
ფარულ სიბრძნეს ესესხები –  
თეოფანე დაყუდებულს.

1987



\*\*\*

ცეცხლის ქვეყნიდან ჩამოსულები,  
მისი მზეები ქვესკნელს  
ატანენ!

ჩვენ კი ზესკნელი მან აგვიყვავა,  
– სწორედ სიცოცხლეს,  
ვითარც ბატკანი,  
დღეების ბაწრით –

შესაწირად –  
სიკვდილთან მიყვავართ

1981



\*\*\*

(ვარიანტი)

სიყვარულის ღუსკუმა ჭიდან,  
შენ,

სიხარულის ოწინართ, –  
(მოლხენილი და მომცინარი  
ქართული ღექსით).

უკვდავების ამოგაქვს წყალი  
და სიყვარულის მარად მწვანე  
ხეს

კვლავ ურწყავ ფესვებს.

2010



1956 წლის ზამთარი

– ყინვით გალესილ ცის ძველ ჭერიდან,  
ფანტელები თუ  
ცვივა ბათქაში?! –  
ვიღაც კითხულობს ენამჭევრი-და...  
შენ გიხარია,  
რადაც პოეტურს,  
ხედავ გლესკაცის ალაღ ნათქვამში.

1956



\*\*\*

მეხი აშინებთ წვიმის კაცუნებს,  
ღრუბლის ტომრებს რომ  
ელვით ნასკვავენ  
და კიდებენ ღამის ლავგარდანს.  
იქ უხილავის ხელმა  
ერთი ციცქნა ვარსკვლავი,  
მოსწყვიტა ზეცას და...  
გადაკარგა.

1970



\*\*\*

საიდანღაც კვლავ ჟონავს  
ცივი სუნთქვა საგების...  
და ზოგ-ზოგნი ცრუ კოშკებს  
ეიფელთან აგებენ.  
ვითომ ვერლენ-ბოდლერის  
ნიცშესა და  
ვაგნერის –  
სულში “მითოპოეტურ” –  
პარადიგმებს აგებენ!!!

2005



\*\*\*


სმა “კოლხური ფსალმუნების”  
შენ – ნათელს გვენს,  
“სხვას” ამუნჯებს!!!

ზოგს გულს უთბობს...  
ზოგს აციებს!

მიწად არა!

ცად აუნჯებ –  
უფლის ინიციატებს.

2000



\*\*\*

ისე, როგორც სააკაძეს,  
მარტყოფი გხმობს გამთენია!  
რადგან იცი,  
ვით დავითმა,  
ვისმა თავმა სად იგოროს,  
ყველაფერი ნათელია...  
ემზადები სადიდგოროდ!

1986



**სარჩევი**

წინასიტყვაობის მაგიერ.....	5
შიში.....	25
მზის დაბადება.....	26
სიკვდილი, გარდაცვალება.....	27
რწმენა.....	28
ეფუთი.....	29
კოლხა, კულხა, ათენი.....	30
მოფრენილი, მომავლიდან.....	31
თუთარჩელა.....	32
მთვარის ნიშა.....	33
პარას ჭალა.....	34
მეგრული და აქადური.....	35
ქარი.....	36
სოკრატე და ისოკრატე.....	37
ენგური, არავვი.....	38
დარჩელი.....	39
ზღვის მელოდია.....	40
ღრუბლები – ანდროგინოსები.....	41
სული, სხეული.....	42
პირველი.....	43

ლარჭემი.....	44
პოსეიდონის ბრძანებით.....	45
ცამცუმი, ამირანი, ბადრი, სეფედავლე..	46
ხელოვნება .....	47
800.....	48
ბედის ვარსკვლავი .....	49
ამირანი .....	50
* * * წარსულის მშუქარ წყვდიაღში.....	51
ორი ეგუთი.....	52
მგოსანი.....	53
ციკუტა.....	54
ნადიმი.....	55
მწოლიარე ლექსები.....	56
ცხოვრება .....	57
მგოსანი.....	58
უხილავი, ხილული.....	59
სული, სხეული .....	60
სოკრატე და პლატონი .....	61
* * * ზღვად მოვარდა ქარიშხალი .....	62
მიწა, ცა და ეროსი .....	63
სამყარო .....	64
დიდი ხუთშაბათობა .....	65
შუმერული ლირა-ქნარი .....	66

ლეგენდა თუ სინამდვილე.....	67
ცა, მიწა.....	68
ამბრი.....	69
კაკაჩია ღამე.....	70
ხილვა: კოლხეთი და ბიზანტია.....	71
მივალ ქალაქ გულანშაროს.....	72
მგოსნები.....	73
მთები.....	74
ბერბერებს და გუანჩებს.....	75
*** მოსვლის დღიდან.....	76
*** საიდანღაც მოვარდნილი.....	77
*** რა ეუყოთ, თუ ზოგ-ზოგებს.....	78
აინები და კხმერები.....	79
*** მიდის ჟამთა მდინარე.....	80
*** საუკუნენი ჩაივლიან გრგვინვით.....	81
*** როკვად აღარსად ჩანდა კარავი.....	82
*** მრავალშვილთა მომლოდინე.....	83
*** დღეს ყოველივეს სწავეს.....	84
ქართუ.....	85
სერდაქს და რუქას.....	86
ქარიშხალი ზღვაზე.....	87
ასტროიდები.....	88
ექურის და ეანნას.....	89

დელაკრუა.....	90
სომას და ჰამოას.....	91
*** გრიგალი ზღვას აღვიძებდა.....	92
ანდები.....	93
*** შური კლავთ და.....	94
*** მღვრიე ათასწლეულების.....	95
*** მიჰყვები უვალ ბილიკებს.....	96
*** ბორცვი იყო.....	97
ქარი.....	98
*** შენი ლექსის სტრიქონები.....	99
მამული, ენა და... გზა პოეტის.....	100
მუშია.....	101
*** ძოკოს დამბასთან.....	102
კოლხური ფსალმუნების 100-ტომეული..	103
*** წამით უფროსია არყოფნა.....	104
ნუში თებერვალში.....	105
ეჰა, ძეო ადამის.....	106
ქალაქი და სოფელი.....	107
მთა და ბარი.....	108
*** ცის უსამანო ოკეანეში.....	109
*** ერთი არა.....	110
*** რაა კაცის ცხოვრება.....	111
*** ავისმქმნელს.....	112

ტბასთან გენესარეთის.....	113
ბარისახო, შატილი.....	114
ვაშინერს.....	115
*** უძინარი შენი ზღვები.....	116
ორი მნათი.....	117
ოდაბადე.....	118
ომალოში.....	119
ქარიშხალი ზღვაზე.....	120
*** შენ სულ სხვახარ ჭირიმე!.....	121
აკაფა .....	122
მადამ ბოვარი, ულისე.....	123
*** ცაზე მთვარე და კუდიანი.....	124
*** იქ დაგხვდებიან „მოყვრები“.....	125
*** ზამთარს ძლივს გამოვადწიე.....	126
ფრთები.....	127
ტუია და რკინის ჯვარი.....	128
*** მზეს ყივიან მამლები.....	129
*** შურობუმუ დო ოდაბადე.....	130
მოციქულები .....	131
ხმა .....	132
ხილვა: მთვარე.....	133
სამყარო არის ქვიჯა .....	134
პოეტო .....	135

ვით კოლხი ქრონოსი.....	136
*** უსასრულობაში .....	137
ტაო-კლარჯეთში.....	138
ჯვრები: გუდან-ლაშარის.....	139
ქუბალე.....	140
*** ვითარც ადრე.....	141
*** რომ დაგავიწყონ წარსული .....	142
*** ეზოთერიკულს მისდევდა .....	143
*** იყო სარგონ მეორე.....	144
*** მიიმღერის სიყვარულს .....	145
ბენეფიციუმში.....	146
არამხუტუ-ამირანი-პრომეთე.....	147
ეოსი.....	148
*** მარად მედინი მზის.....	149
იასპით და აქატით.....	150
*** ყველა გზა ალბათ იქ უხვევს.....	151
*** მიმწუხრისას წუხედ .....	152
*** ისე, ვით სიცოცხლე.....	153
*** ვითარც ათასწლეულების .....	154
*** არაგვი ღელვას დაგვპირდა.....	155
ამირსპასალარი .....	156
მიქაგამრიო .....	157
ქ ა მ ა ნ დ ა რ ი.....	158

*** ადამის ძის ისტორია.....	159
*** გაჩენის დღიდან სივრცეებს.....	160
*** ღრუბლების ზვირთები.....	161
ჩე გოლა.....	162
*** მწუხრისას ცის ბილიკებით.....	163
*** სიცივის კიბეებით.....	164
* * * დაუტოვიათ ჟამთა სინესტე.....	165
* * * ლოცვის ატლასით მოსილი.....	166
* * * ჩვენი ბედისწერის ძაფს.....	167
* * * ვარსკვლავები – ანგელოზებია.....	168
* * * აქ არყოფნის ტოტზე მჯდარი.....	169
* * * ამ ცისქვეშეთში.....	170
* * * ზღაპრებში და ლეგენდებში.....	171
* * * მოვა ამქვეყნად.....	172
ტოვებ „უპანიშადებს“.....	173
* * * ჟამთა ცხრაკლიტულში.....	174
მცხეთაში ჩანიანის გახსენება.....	175
* * * ზეცა – იესოს ტანია.....	176
ბარენცის ზღვა.....	177
* * * ვარსკვლავები.....	178
მთები.....	179
* * * მოფრინდება და ფასკუნჯი.....	180
ბუხარი.....	181

* * *	ცა – პოეზიის მოჰგავს.....	182
* * *	სიცხით და ხვატით.....	183
* * *	დედა ქართველისა.....	184
* * *	ფიქრი, ათასწლეულების.....	185
* * *	ქარიშხალთან ბრძოლით .....	186
* * *	უსაზღვროების ღამის .....	187
* * *	რალა ქნას.....	188
	ქართული ზღაპრების კითხვისას.....	189
	დრო – ქურდი .....	190
* * *	ღღის გათენება გვიხარია.....	191
	„კოლხური–ოქრომრავალი ქვეყანა“ .....	192
, * * *	მარადისობის ძეგლად.....	193
* * *	სხვა რწმენით და იმედით.....	194
* * *	ვითარცა დანტე ალიგიერმა.....	195
* * *	ხობის წყლის პირას.....	196
* * *	მწუხრია და ცის ფერებში .....	197
	ხილვა: ევროპის მოტაცება .....	198
* * *	ოქროს მთიებით შემოსარული.....	199
	მზის დაბნელება.....	200
	ჩემი გული ბუხარია .....	201
* * *	შუაღამისას გადაჭრილი .....	202
	აბანტები და ამირანტები.....	203
* * *	ფიქრი, ათასწლეულების.....	204

\* \* \* ქარიშხალთან ბრძოლით.....205

\* \* \* უსაზღვროების დამის.....206

\* \* \* რაღა ქნას.....207

ქართული ზღაპრების კითხვისას.....208

დრო – ქურდი.....209

\* \* \* დღის გათენება გვიხარია.....210

„კოლხური–ოქრომრავალი ქვეყანა“.....211

\* \* \* მარადისობის ძეგლად.....212

\* \* \* სხვა რწმენით და იმედით.....213

\* \* \* ვითარცა დანტე ალიგიერმა.....214

\* \* \* ხობის წყლის პირას.....215

\* \* \* მწუხრია და ცის ფერებში.....216

ხილვა: ევროპის მოტაცება.....217

\* \* \* ოქროს მთიებით შემოსარული.....218

მზის დაბნელება.....219

ჩემი გული ბუხარია.....220

\* \* \* შუალამისას გადაჭრილი.....221

აბანტები და ამირანტები.....222

მარცვალი.....223

მარცვალი.....224

\*\*\* ჭერმაღალი ცა კოლხური.....225

\*\*\* გულზე ხელებდაკრეფილი.....226

ძველი კოლხეთი.....227

1992-2012.....	228
უძმოს-ძმა.....	229
N-ს.....	230
ვაჟავ! – ძვე პელიოსის.....	231
ქალდეველები .....	232
*** ცისკენ ხელებაპურობილი .....	233
*** მირიადი წელია.....	234
ფერისცვალება.....	235
მთები და მდინარეები .....	236
მთიები.....	237
*** საწუთრის გზაზე მიხვალ.....	238
*** პონტოს ზღვიდან ამოსული .....	239
მოლოდინი – “ის”.....	240
*** შორეული ხმები გესმის.....	241
*** ცეცხლის ქვეყნიდან ჩამოსულები....	242
*** (სიყვარულის ღუსკუმა ჭიდან .....	243
1956 წლის ზამთარი.....	244
*** მეხი აშინებთ წვიმის კაცუნებს .....	245
*** საიდანღაც კვლავ ჟონავს.....	246
*** ხმა “კოლხური ფსალმუნების” .....	247
*** ისე, როგორც სააკაძეს.....	248



ვაჟა ეგრისელი

კოლხური უსალმუნები

100 ტომად  
ტომი 89

VAZHA EGRISELI  
“KOLKHURI PHSALMUNEBI”  
ONE HUNDRED VOLUME  
VOLUM 89

გამომცემლობის

რედაქტორი

– როლანდ დოლბაია

მხატვარი

– სპარტაკ ცინცაძე

მხატვრული რედაქტორი

– ირაკლი უშვერიძე

ტექნიკური რედაქტორი

– ნანა ღუმბაძე

კორექტორი

– ნათია კვიციანი

კომპიუტერული

უზრუნველყოფა

– ნანა და დათო ყანდაშვილები

გამომცემელი – კახა ალექსანდრია

ფასი 20 ლარი

თბილისი  
2020



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჯორჯიანი ქ. №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@gmail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com